წელიწადი პირველი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ყოველდღიური გაზეთი

კომუნისტი

თბილისი.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტეინის ქუჩა, № 4. ტელეფონები:
საერთო—დღისა 14—76, სტამბის—ღამისა—79.

რედაქცია ღიაა ყოველ დღე დილის 10-დან 1 ს. კორესპონდენციები და მასალები მიიღება მთელი დღე.

სამშაბათი, 10 მაისი, 1921 წ.

№ 55 საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტის და საქართვ. რევ.-კომიტეტის ორგანო. № 55

სასოფლო-სამეურნეო კომუნები

ხვნა-თესვის კამპანია საკმაო ხანია, რაც გაჩაღებულია და საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ იგი წარმატებით ჩატარდება, მიუხედავად ათასნაირი პროვოკაციული ხმებისა, ახალი ხელისუფლების მიერ გლეხებისაგან ნამუშევარის ვითომ განზრახულ ჩამორთმევის შესახებ, რომელ ხმებს დაჟინებით ავრცელებდნენ რევოლუციის მტრები. სათესი რაიონის გადიდებას და მუშაობის ნაყოფიერებას ეჭვს გარეშე დიდად უწყობს ხელს რევ. კომიტეტის ცნობილი დეკრეტი მიწის შესახებ. თუ უწინ ღარიბ გლეხს უხდებოდა საიჯარო მამულების დამუშავება, რომლის ნაყოფის საგრძნობ ნაწილს სხვა ითვისებდა, ახლა მის სარგებლობაში იქნება, ობიექტიურ შესაძლებლობის ფარგლებში, მიწის საკმაო რაოდენობა, რომელსაც იგი გამოიყენებს და ამით გააუმჯობესებს თავის ნივთიერ მდგომარეობას. მაგრამ სასოფლო მეურნეობა რომ აყვავდეს და აქედან სახელმწიფომაც მეტი სარგებლობა ნახოს, საჭიროა სხვა, ძირითადი ხასიათის ზომების განხორციელებაც მიწის დამუშავების და სარგებლობის დარგში. დღევანდლამდე სასოფლო, გლეხური მეურნეობა უაღრესად ინდივიდუალისტური იყო, ვიწრო კარჩაკეტილობით ხასიათდებოდა. გლეხი თავის ნაჭერი მიწის იქით ვერ იხედებოდა, მოკლებული სათანადო აგრონომიულ ცოდნას და საჭირო ინვენტარს, იგი მას პრიმიტიული წესით ამუშავებდა. რასაკვირველია, ამ გზით ღარიბი გლეხი თავის კეთილდღეობას ვერ შექმნიდა, თანდათან უფრო გაღატაკების გზას ადგა, და მევახშის მონა ხდებოდა. ამ მდგომარეობიდან ღარიბ გლეხთა მასებს მხოლოდ ერთად ერთი გამოსავალი დარჩენიათ: უარყოფა დამღუპველი კარჩაკეტილობისა და მჭიდრო შეკავშირება, მეურნეობის კოლექტიურ საფუძველზე მოწყობა. საერთო ძალღონით მიწის დამუშავება და მისი ნაყოფის გამოყენება,—მხოლოდ ამას შეუძლია შექმნას გლეხობის ნივთიერი კეთილდღეობა. მეურნეობის რაციონალურად დასაყენებლად, მიწის შეკავშირებული მუშებისათვის ადვილი იქნება სათანადო იარაღების და ცოცხალი ინვენტარის შეძენა, აგრეთვე სპეციალისტ ინსტრუქტორების შოვნაც. ასეთი კავშირისათვის იოლი იქნება აგრეთვე სასოფლო მეურნეობის ნაწარმოების გასაღება და სამაგიეროდ გლეხობისათვის საჭირო საგნების შეძენა. გასაღების ორგანიზაციულად მოწყობით სოფლის საქონელი ასცდება სპეკულიაციას, და ეს ერთგვარ წესრიგს და შეღავათს შეიტანს აფორიაქებულ დღევანდელ ეკონომიურ ცხოვრებაში. მხოლოდ ყველა ამისათვის აუცილებლად საჭიროა, რომ მიწის მუშათა კავშირმა, დავარქვათ მას სასოფლო-სამეურნეო კომუნა,—მჭიდრო კავშირი და კონტაქტი იქონიოს სახელმწიფოსთან. მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია აღმოუჩინოს სოფლის კომუნას ყოველ გვარი დახმარება, როგორც ტექნიკურ ძალების და საშუალებათა და გლეხობისათვის საჭირო ნივთების მიწოდებით, ისე სოფლის ნაწარმოების გასაღების საქმეში. ასეთი მეურნეობის აყვავების და მისი მიზან-შეწონილი გამოყენების მიზნით, სახელმწიფოებრივი ხელისუფლება შეიმუშავებს სათანადო ფორმებს და მეთოდებს, რომლების მიხედვით უნდა მოეწყოს და განხორციელდეს ამა თუ იმ კომუნის სამეურნეო დაწყობილება. ამა თუ იმ კუთხეს და მეურნეობის დარგს შესაფერი ალაგი და როლი ექნება მიკუთვნებული სახელმწიფო მეურნეობის საერთო სისტემაში. ამ ნაირად მეურნეობა უნდა დაუქვემდებარდეს საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ მიზნებს.

ჩვენ ცნობები მოგვეპოვება, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში სამეურნეო კომუნის და მისი სახელმწიფოებრივ ნიადაგზე დაყენების იდეა პოპულიარული ხდება. ამ მხრივ ყველაზე უფრო საინტერესო ცნობა გვაქვს სოფელ მეჯვრისხევიდან. იქ ღარიბ გლეხებს მოუწყვიათ მშრომელ მეურნეთა კომუნა. კომუნაში შესულ ყველა ამხანაგებს აქვთ და აწევთ თანაბარი უფლება და ვალდებულება. კომუნის წევრებს საერთო სასარგებლოთ შეაქვთ საკუთარი სამეურნეო იარაღი, მუშა საქონელი, ნამუშევარი და დასამუშავებელი მასალა. ამორჩეულია გამგეობა, რომელიც ხელმძღვანელობს და თვალყურს ადევნებს მუშაობის წარმოებას. მოუწვევიათ მცოდნე ინსტრუქტორები და მუშაობა გაუჩაღებიათ. ჯერჯერობით საყანე მიწას ამუშავებენ და მევენახეობას მისდევენ. შესდგომიან მეფუტკრეობას, მეაბრეშუმეობის და სხ მოწყობასაც. ყველა ამ საქმეს კომუნისტური პარტიის ადგილობრივი ორგანიზაცია ხელმძღვანელობს. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ იგი დაწყებულ უჩვეულო საქმეს ღირსეულად ჩაატარებს. საჭიროა, რომ ჩვენმა ორგანიზაციებმა და ხელისუფლებამ სხვაგანაც კომუნალურ აღმშენებლობას მხურვალედ მოკიდონ ხელი, როგორც პროპაგანდით, ისე პირადი მონაწილეობით, გლეხი მაშინ თავისი თვალით დაინახავს კოლექტიურ მეურნეობის უპირატესობას, კერძოდ მისი ბედშავი ცხოვრების გასაუმჯობესებლად, და იძულებული გახდება თავისი ინდივიდუალური ნაჭერიდან გამოვიდეს და საერთო მუშაობაში ჩაებას.

1920—მაისი—1921

სომხეთში შარშან მომხდარ ამბებმა, ბოლშევიკურმა აჯანყებამ, თამაშა ერთნაირი როლი ნაციონალისტურად განწყობილ იმ მასების დიფერენციაციაში, რომლებიც პარტია „დაშნაკცუტიუნ"-ს თავის ბრჭყალებში ეჭირა ათეულ წლების განმავლობაში.

გულუბრყვილობა იქნებოდა იმის თქმა, რომ თითქო ეს აჯანყება წინდაწინ მომზადებული მოძრაობა იყო სომხეთში საბჭოთა რეჟიმის შემოღების მიზნით.

ყოველმხრივ დაშლილი ცხოვრება, ქურდობა, ზოოლოგიური ნაციონალიზმი, რომელსაც პარტია „დაშნაკცუტიუნ" ქადაგობდა,—ქმნიდნენ ისეთ მდგომარეობას, რომ სასოწარკვეთილი ხალხი გამოსავალს ეძებდა შექმნილ მდგომარეობიდან, მაგრამ ვერ ჰპოვა.

ეს „პარლამენტარული" სომხეთი შევიწროებული იყო ყველაფერში და ყოველთვის, როგორც მილიციელის, ისე ბანდიტ-მაუზერისტის მიერ ჩადენილ თვითნებობისაგან. არავითარი უფლებრივ, იურიდიულ და კანონიერ ნორმებს ადგილი არ ქონია ამ გაუბედურებულ „დემოკრატიულ" რესპუბლიკაში. აღშფოთება, უკმაყოფილება არა დღეებით, არამედ საათობით იზრდებოდა.

ანტანტას მიერ წახალისებულმა და, რათაც არ უნდა დასჯდომოდა, ბოლშევიზმის ერთხელ და სამუდამოდ მოსპობის სურვილით გატაცებულმა, დაშნაკების პარტიამ კომუნისტები არა-ოფიციალურად, ჩუმად კანონს გარეშე გამოაცხადა.

საპყრობილეები გავსებული იყო კომუნისტებით, დახვრეტა ჩვეულებრივ მოვლენად გადაქცეული დაშნაკურ სომხეთში.

დაშნაკელთა სიმხეცე იქამდე მივიდა, რომ სდევნიდნენ და საშინლად აწვალებდნენ არა მარტო კომუნისტებს, არამედ მათ ოჯახებს, ცოლებს, ნათესავებსაც.

„პატრიოტები" პატრიოტულად სცარცვავდნენ ისედაც გაღატაკებულ ხალხს. დაშნაკებმა სომხეთი ჯოჯოხეთად გადააქციეს, სადაც სული ხდებოდათ მშრომელებს, სადაც მუშები გამოსავალს ეძებდნენ და ვერ პოულობდნენ. ეს ბანდიტური ორგანიზაცია, რომელიც თავის თავს პარტიას უწოდებდა და სოციალისტობაზე პრეტენზიებს აცხადებდა, მხოლოდ იმას აკეთებდა, თუ როგორ დაეთესა უთანხმოება, სიძულვილი მეზობელ ხალხთა შორის. სომხეთი უნდა იქმნეს გაწმენდილი არა სომხურ ელემენტებისაგან —გაიძახოდნენ დაშნაკელები. ისინი სწმენდნენ სომხეთს.

კვნესა, უბედურება, წყევა-კრულვა და ცრემლები გაისმოდა მთელს ქვეყანაში იმ დროს, როდესაც უსაქმურთა ბრბო, როგორც საშუალო საუკუნოების რაინდები, დასეირნობდნენ გავერანებულ მხარეში. მაისის ამბები, ან როგორც დაშნაკელები უწოდებენ, ბოლშევიკური აჯანყება გამოხატავს უნდობლობას ბანდიტებისადმი.

ბანდიტებმა მიმართეს ნაცად საშუალებას—ტერორს, რომელმაც შემდეგში სამოქალაქო ომის სახე მიიღო. ამ ომმა წინასწარ გადასწყვიტა „დაშნაკცუტიუნის" ბედი, რომელიც დაიღუპა მის მიერვე შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაში.

დაიღუპა სამუდამოდ.

დაშნაკურ ბანდიტიზმის უღლის ქვეშ მუდმივად მყოფი ქვეყანა წარმოადგენდა სამხედრო ბანაკს, სადაც ყველა, ვისაც არ ეზარებოდა, აკეთებდა და „ქმნიდა" ყველაფერს, რაც მოეპრიანებოდა. მუშების უკმაყოფილება, გლეხების აღშფოთება, მშრომელთა უბედური შვილების, ეგრედ წოდებული ჯარის კაცების დეზერტირობა—საერთო რღვევას ამთავრებდა.

და აი, მაისმა, პირველ მაისობის დღესასწაულებმა ცხადყო, გამოამჟღავნა მთელი სიძულვილი, ის ბოღმა, რომელიც, ბუნებრივია, უნდა ყოფილიყო დაგუბებული ხალხის გულში.

სტიქიურად ამოხეთქა ეს უკმაყოფილება, რომლის პროლოგი გაიშალა პირველ მაისს მთელს სომხეთში.

კომუნისტებს არ შეეძლოთ გულზე ხელდაკრეფილი ყოფილიყვნენ. გასაგებია, რომ მათ ისარგებლეს ხალხის რისხვით და შეეცადნენ მისი მოძრაობისათვის მიეცათ ორგანიზაციული ხასიათი, რამდენადაც შეეძლებოდა ლაპარაკი შეკავშირებაზე იმ გაუბედურებულ, მივიწყებულ და დანგრეულ ქვეყანაში, რომელიც მოკლებული იყო რკინის გზებს, მიმოსვლის საშუალებებს.

დაშნაკელებმა მშვენივრად იცოდნენ, თუ სად იყო ჩამარხული ბოროტების ძირი. მათ კარგად იცოდნენ, რომ მოძრაობა წმინდა ხალხური იყო, მაგრამ სურდათ რა შეძულებულ ბოლშევიკებისაგან თავის დახწევა,—მთელი ღონით, მთელი საშუალებებით კომუნისტებზე მიიტანეს იერიში, და დაიწყო ვაკხანალია. იმ ბართლომეს ღამესთვის, რომლის მოწყობისათვის შესწევდათ უნარი სამხრეთ-აღმოსავლეთის კავკასიის ამ კულტურულ ბარბაროსებს, შური იძიეს სომხეთის მშრომელმა მასებმა და დაბოლოს მაინც მიაღწიეს მიზანს.

ნ.

პრესის მაგიერ

იგივე გაზ. „სოციალისტ ფედერალისტ"-ის თანამშრომლის მოქ. შ. ნ—ს და საზღვრების შესახებ.

მოქ. შ. ნ—მა მოიყვანა თავის წერილში „გრუკავროსტას" მიერ გადმოცემული ამხ. ნარიმანოვის აზრი კავკასიის რესპუბლიკათა შორის „საზღვრების წაშლის" შესახებ და, როგორც ეს შეეფერის „ჯიშიან" ნაციონალისტს, შეეცადა პატარა სკანდალი მოეწყო იმის გამო, რომ, მისი აზრით, კომუნისტები უბედურებას უმზადებენ ასეთი გეგმებით ჩვენს ეროვნულ დამოუკიდებლობას. ავტორის მიერ ხსენებულ ცნობის დამატებით ჩვენ მოვიყვანეთ სიტყვა სიტყვით ოფიციალური ცნობა „გრუკავროსტასი" იმ მასალებიდან, რომლებიც მან მიაწოდა პრესას—და ვგულისხმობთ უნდა, კერძოთ სოციალისტ-ფედერალისტსაც—პირველი მაისის დღესასწაულის შესახებ. როგორც ეტყობა, ოფიციალური ცნობებიდან ჩვენ მიერ მოყვანილ ადგილს საგრძნობი კორექტივი შეუტანია მოქ. შ. ნ—ს ფანტაზიის „ნამუშევარში", რადგან ის ნებას აძლევს თავს „შეპაჩინკებულათ" გამოაცხადოს ეს ცნობა, ყოველ შემთხვევაში ეჭვი შეიტანოს მის სინამდვილეში. ავტორის აზრითაც ლაპარაკი ხელოვნურ საზღვრების მოშლის შესახებ გასაგებია. ხოლო მისი აზრით იგივე არ ითქმის „ბუნებრივ საზღვრებზე". რამდენადაც ჩვენ ვიცით, ამხ. ნარიმანოვს არ დაუყენებია კითხვა საზოგადოთ საზღვრების გაუქმების შესახებ. მისი აზრი იყო ის, რომ ბურჟუაზიულ დემოკრატიულმა რესპუბლიკებმა ეს კითხვა ვერ გადასჭრეს, მისი მშვიდობიანათ მოგვარება მოახერხა მხოლოდ მუშათა სახელმწიფომ, რადგან საზღვარი და მისი ბუნებრივი მდგომარეობის გამოყენება არ შეიძლება შეიქნეს პროლეტარიატის და საზოგადოთ მშრომელთა ხელში შუღლი-მტრობის იარაღათ. მაგალითისთვის მ. ნ მოიყვანა ფაქტი, რომ კერძოთ ახალმა აზერბაიჯანმა გადასცა სომხეთს ის ადგილები, რომლისთვისაც ორ ძველ ბურჟუაზიულ ნაციონალისტურ მთავრობათა შორის მუდმივი ალიაქოთი იყო და სისხლი იღვრებოდა. ასეთი შეთანხმება საზღვრებზე სახელმწიფოთა შორის, რომელთა ძალაუფლება დაყრდნობილია ერთი და იმავე სოციალური ბუნების მატარებელ საზოგადოებრივ კლასებზე, სახელდობრ პროლეტარიატზე, [illegible] გასაგებია, ის შესაძლებელია მხოლოთ საბჭოთა ძალაუფლების ნიადაგზე. ამავე ძალაუფლების ნიადაგზე ეროვნულ დამოუკიდებლობისთვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ სად თავდება ეს თუ ის საზღვარი, მაგალითად, ერთ ერთ, ჩვენს შემთხვევაში, ეგრედ წოდებულ ზონასთან, თვით ზონის რომელიმე შუა ხაზზე, თუ ამავე ზონის გადაღმა სიმაღლეებზე. როგორიც არ უნდა იყოს ჩვენი შეხედულება ორ დამოუკიდებელ რესპუბლიკათა სამზღვარზე — რომელმაც ჩვენ ხანაში მეზობელ სახელმწიფოთა შორის, ბუნებრივათ, უნდა გაიაროს ამა თუ იმ ხაზზე—ერთი ცხადია, რომ მას ჩვენ ვერ დავუმორჩილებთ საკითხ სტრატეგიული მიზან-შეწონილობის ან ეგრედ წოდებულ „ბუნებრივ" საზღვრების შესახებ. ასეთი კითხვის დაყენება ჰკვებავს ომს და ის პრინციპიალურათ ეწინააღმდეგება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში დღეს არსებულ რეჟიმის შინაარსს. ეს თუ ის საზღვარი ჩვენთვის არ შეიძლება იყოს ფეტიში როგორც ისტორიული პერსპექტივის, ისე დღევანდელი დღის პრაქტიკული მოსაზრების თვალსაზრისით. კითხვა საზღვრების შესახებ სხვა დროს სხვა და სხვა ნაირათ შეიძლება გადაიჭრას რეალური მოსახლეობის ან არსებულ ეკონომიური ხასიათის გარემოებათა მიხედვით დ სხ. ჩვენ შორსა ვართ საზოგადოთ როგორც დამოუკიდებლობის გადაჭარბებისაგან მაინცა და მაინც, ისე მის უარყოფისაგან იმ მხრითაც კი, რამხრითაც ეს შეიძლება გამოიხატოს საზოგადო საზღვრების უარყოფით. ჩვენ მოსურნე ვიქნებოდით გაგვეგო მოქ. შ. ნ—გან, როდის და სად დადგა კითხვა ეროვნული დამოუკიდებლობის მოსპობის და საზღვრების გაუქმების შესახებ ჩვენს დროში. შეიძლება ასე ესმის მას ზოგიერთი ზომები, მიღებული და მისაღები რესპუბლიკათა შორის საჭირო მჭიდრო ეკონომიური კავშირის შესაქმნელათ?

ბატონებო, თუ სურვილი გაქვთ მოიყვანოთ სხვისი აზრები, კეთილ ინებეთ მიაწოდოთ ის მკითხველებს მართლა „დაუმახინჯებლათ" და ნაციონალისტური დემაგოგიის გაუწევლათ. ეს უეჭველია არ ეჭაშნიკება, სხვადასხვა გასაგები მიზნებით, ჩვენში აურზაურის ამტეხთ, მაგიერათ ეს გაუადვილებს მთავრობას თავის მძიმე მოვალეობის შესრულებას. ჩვენ შემთხვევა მოგვეცემა გავიგოთ რა გზას დაადგებიან ამ მხრივ გაზ. „სოციალ-ფედერალისტ"-ის ზოგი თანამშრომლები.

რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-10 ყრილობა

ამხ. შლიაპნიკოვის თანამოხსენება პროფკავშირების შესახებ.

ამხანაგებო! დღეს ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ უდიდესი მნიშვნელობის საკითხი; საკითხი იმის შესახებ, იქნებიან თუ არა მომავალში ჩვენი პროფესიონალური კავშირები კომუნისტური პარტიის გავლენის ქვეშ, თუ მიუხედავათ ამხ. ტროცკისა და ზინოვიევის, თავისი პლატფორმით ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში მოგზაურობისა, ეს კავშირები გადიქცევიან მენშევიკურ, ესერულ ან სხვა გვარ პროფესიონალურ კავშირებათ. ჩვენ არც ერთ აქ წამოყენებულ პლატფორმას არ ვიზიარებთ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ გვინდა დავსვათ საკითხი პროლეტარიატის დიქტატურისადმი მისი ავანგარდის—ჩვენი პარტიისადმი დამოკიდებულებისა და არც ამ კავშირების პარტიულობის თუ უპარტიობის ფარგალში. ეს საკითხები ჩვენთვის უკვე გადაწყვეტილია და მათი ხელახლა წამოყენება აქ გასარჩევად და გადასაწყვეტად ზედმეტად უნდა მივიჩნიოთ. ამისათვის ჩვენ შემცდარად მიგვაჩნია ის აზრი ამხანაგებისა, თითქოს რადგანაც ჩვენ მათ შესახებ არაფერს ვამბობთ ჩვენს პლატფორმაში, ამიტომ იგი ჩვენგან ამ საკითხებისადმი უარყოფით დამოკიდებულებას ან და მის მიფუჩეჩებას ნიშნავდეს. ეს პირდაპირ აბსურდია.

ჩვენი პარტია პროფესიონალურ კავშირების დანიშნულებასა და მათ მიზნებზე სავსებით ნაკარნახევია სასოფლო მეურნეობაში არსებული მდგომარეობიდან. და აი, ამხანაგებო ერთის მხრივ, ჩვენი სახალხო მეურნეობის კრიტიკული მდგომარეობა და მეორეს მხრივ, ფართო პროლეტარული წრეების მუშაობაში ჩათრევის სურვილი ჩვენ გვავალებს მივუთითოთ ახალი საშუალებებზე მათი წარმოებაში ჩასაბმელათ; ეს გზა სრულებით ეთანხმება პარტიულ მე 8 ყრილობის გადაწყვეტილებას, რომელიც ამასთან აღბეჭდილია ჩვენს პროგრამაშიაც, აი, სწორეთ ეს ორი მოსაზრება გვაიძულებს წამოვაყენოთ ჩვენი პლატფორმა. ამხანაგებო აქ გამოსული ორატორები ამხ. ზინოვიევი და მის წინ კიდევ ამხ. ლენინი, უმთავრესათ გვეკამათებიან „მწარმოებელი"-ს საკითხის შესახებ. ამხ. ზინოვიევი გაზ „პრავდის" ერთ ერთ ნომერში ამ სიტყვას საოცრათ დასცინოდა. და ამბობდა თითქოს აქ შემთხვევაში ჩვენ ახალმოდურ სახელწოდებას ვეძიებდით (სჩანს, ძალიან ბევრი უფიქრია ამ სახელწოდების შესახებ). მე უნდა განვაცხადო რომ სახელწოდება „მწარმოებელი" ჩვენი მოგონილი არ გახლავსთ. ეს სახელწოდება ძალიან ხშირათ იხმარებოდა და იხმარება ჩვენ მარქსისტულ ლიტერატურაში და მისი ავტორი ენგელსია (ხმა ადგილიდან: და „მუშათა ოპოზიციის" ბელადიც) ენგელსის წიგნში: „წარმოშობა ოჯახისა, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოსი" ნახმარია შემდეგი ფრაზა: „საზოგადოება, რომელიც ხელ-ახლა ქმნის წარმოებას ყველა მწარმოებელთა თავისუფალ და თანასწორ ასოციაციების საფუძველზე"... და სხვა. აი ამითი ვხელმძღვანელობდით, როცა ჩვენ თეზისებში შეგვქონდა სიტყვა „მწარმოებელი" (ხმაურობა) ამიტომაც ფუჭი და უსაფუძვლო ამხ. ზინოვიევის მახინაციები, როცა მას სურს ამ სახელწოდებას რაღაც მახინჯი სახე მისცეს და მისი შეკითხვებიც—რატომ არ დავსწერეთ უბრალოთ „მუშა", რისთვის იყო საჭირო ხმარება „მწარმოებლი"-სა და არა „მუშისა". მაგრამ მე უნდა ვაღვიარო, ჩვენ რომ ამხ. ზინოვიევს გვეყოლოდით „მახაევცებათ" გადვიქცევოდით, რადგან თქვენ რჩევას ცხადია „მახაევშჩინისაკენ" მივყავართ. ჩვენ ამ სახელწოდებაში ვათავსებთ მთელ კრებას მომუშავეთა, რომელნიც წარმოებაში არიან დაბანდებულნი. მაგრამ ამასთან ჩვენ პლატფორმაში იმის ნიშანწყალიც კი არ არის, რომ ჩვენ ამ სახელწოდებაში ვგულისხმობდეთ თვით საქონლის მწარმოებელს. ჯერ-ჯერობით ჩვენ, პროფესიონალურ კავშირებში დარაზმულ მწარმოებელ გლეხობას—საქონლის მწარმოებელი არა გვყავს. ჩვენ გვინდა ვიწამოთ, რომ პარტია მათ არც აწი შექმნის. აქ ბაასი და კამათია იმ პროფესიონალურ კავშირებზე, რომელთაც ჩვენ ვიცნობთ, ჩვენი მრეწველობის წარმოებაში ჩაბმულ ყველა იმ მომუშავეებით, რომელნიც შეკავშირებულნი არიან კავშირებში, როგორც მწარმოებელნი. ამ შემთხვევაში ჩვენ კატეგორიულათ შევებრძოლებით ამ სახელწოდებაზე აშენებულ ყოველგვარ სპეკულიაციას.

გადავიდეთ ახლა მეორე საკითხზე—ჩვენი სინდიკალისტობის შესახებ. ამის შესახებ აქ ბევრი ილაპარაკეს. ერთ ერთ კრებაზე ამხ. ტროცკიმ კიდევაც გამოიანგარიშა, თუ ამ მხრივ რამოდენი გრადუსით გადვიხარეთ ჩვენ. თუმცა მან მხოლოდ ორი გრადუსით გადახვევა აღმოაჩინა და მეტი ვერა. ამხ. ლენინი ალბათ მეტს აღმოაჩენს, მაგრამ მე მინდა პირველ ყოვლისა დავაყენო აქ საკითხი—რა არის სინდიკალიზმი? მე ამის გარშემო აქ სიტყვას არ გავაგრძელებ, მხოლოდ მოვიყვან თვით ამხ. ტროცკის თეზისებიდან ამონაწერს ამ საკითხის შესახებ „პროფესიონალური კავშირები და მათი დანიშნულება მომავალში", სადაც იგი იძლევა სინდიკალიზმის განმარტებას. ამ პუნქტში მე მას სავსებით ვეთანხმები; აქ ნათქვამია, რომ სინდიკალიზმი გულისხმობს პროფესიონალურ კავშირების, ე. ი. კაპიტალისტურ საზოგადოებაში მუშათა ორგანიზაციების მიერ ცდას ხელში ჩაიგდოს წარმოება გარეშე პროლეტარული პარტიისა და პროლეტარული სახელმწიფოსა. და რამოდენათ ჩვენ, კომუნისტები, რომელნიც ვთამაშობთ როლს კომუნიზმის გამტარებლებისას ჩვენ პროფესიონალურ კავშირებში, ვეგვართ ასეთ სინდიკალისტებს, რომელნიც პროლეტარიატის დიქტატურისა და პროლეტარული სახელმწიფოს გარეშე, ცდილობენ განახორციელონ, მწარმოებელი მუშების მიერ სახალხო მეურნეობის ხელში ჩაგდება—განსაჯეთ თვითონ თქვენ. მე ვფიქრობ,

დღეს ნომერში:

საქართველოსათვის ბათომში მოვიდა დიდძალი სხვა და სხვა საქონელი.

მორიგი სია მენშევიკურ მთავრობის მიერ გატაცებულ სახალხო ქონებისა.

მოსკოვში დღეს, 10 მაისს გაიხსნება კოოპერატივების წარმომადგენელთა ყრილობა.

ამერიკაში მზადდება მატროსების გრანდიოზული გაფიცვა.

რომ ეს სახელწოდება არაფითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩვენ მოგვაწეროს.

განა რა გვაკვირვებს ჩვენ, ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობაში დღეს არსებულ დაქვეითებასა და უსისტემობას დაუპირისპიროთ ჩვენი გზა და მიმართულება? პირველ ყოვლისა ამას გვაკვირვებს ჩვენი მეურნეობის დღევანდელი მდგომარეობა. ჩვენ უპირდაპირებთ ახლანდელ ბიუროკრატიულ სისტემას მეურნეობის მართველობისას, სისტემით დამუშავებულს სისტემას მთელი მუშათა კლასის ჩაბმისა სასოფლო მეურნეობის აქტიურ და სამშენებლო მუშაობაში. ის, რასაც დღის-დღეობით ჩვენს მეურნეობაში ადგილი აქვს, იგი არ არის მარტო ობიექტური, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების შედეგი. ჩვენ მიერ უკვე შემჩნეულ სივაკლაზეში ნაწილი პასუხისმგებლობისა ჩვენგან აღებულ სისტემას ეკუთვნის. აქ ამ. ზინოვიევი ლაპარაკობდა მელითონეთა კავშირის გავლენის დაცემაზე—წარმოებაში, მისივე ორგანიზაციაში, და ამ კავშირის თანდათანობით სისუსტეზე ლითონის მრეწველობაში მისი როლის შემცირებაზე და სხვა. ამის დასამტკიცებელი საბუთები მას სრულიად რუსეთის პროფესიონალურ კავშირების საბჭოს ცნობებიდან მოჰყავდა. $^{9}/_{10}$ საკითხებისა, რომელსაც ჩვენ ვარჩევთ ყოველ კრებაზე, კრება კი კვირაში 2—3 გვაქვს, ეხება ისოლოდ და ისოლოდ ჩვენი სახალხო მეურნეობის ორგანიზაციის საქმეს. მაგრამ ჩვენი მუშაობის გეგმა სრულებით განსხვავდება სხვისაგან. ჩვენთან მოსამზადებელი მუშაობა სწარმოებს განყოფილებებში, რომლის ოქმებსაც შემდეგ ხილავს პრეზიდიუმი.

სრულიად რუსეთის პროფესიონალურ კავშირების საბჭოში, ჩვენ, ოქმებს ვგზავნით შემდეგნაირად: პირველ ყოვლისა—მოხსენება ჩვენი სეკრეტარიატისა, შემდეგ მოხსენება წარმოების ორგანიზაციის განყოფილებისა, მაგრამ პროფესიონალურ კავშირების საბჭოებმა ამ მოხსენებათა შინაარსი არას დროს არ იცის, არც აღძრულ საკითხების რაოდენობა. მაშინ საკითხავია რა ირჩეოდა თვითეულ ასეთ განყოფილებაში? ირჩეოდა კი მთელი რიგი ორგანიზაციული და საწარმოო ხასიათის საკითხებისა. ამხ. ზინოვიევის განცხადება ნაყოფია პროფესიონალურ კავშირების საბჭოს მიერ ჩვენი საორგანიზაციო მუშაობის სქემის უცოდინარობისა.

ჩვენი პლატფორმა ორი ნაწილისაგან შესდგება. პირველი ნაწილი პლატფორმისა განმარტავს იმას თუ რა უნდა იქნეს გადმოცემული დაუყონებლივ. მეორე ნაწილი კი ეხება სახალხო მეურნეობის იმ მართველობას, რომელიც გატარებულ უნდა იქმნას ცხოვრებაში, პირველი, მოსამზადებელი ნაწილის განხორციელების შემდგომ. (მე-11 პუნქტიდან მე 20 პუნქტით გათავებული).

ეს ნაწილი არკვევს საბოლოოდ დამუშავებულ ფორმებს მეურნეობის ორგანიზაციისას. „დამუშავებულ" დიახ, რადგან იგი გულისხმობს, რომ წინდაწინ დიდი მუშაობა უნდა იქნეს წარმოებული, მუშაობა, რომელზედაც ჩვენ პლატფორმის პირველ ნაწილში გვაქვს ლაპარაკი—მოსამზადებელი მუშაობაა, რომელიც საშუალებას მოგვცემდა არა იმ ჩქარის თანდათანობით, რაზედაც ერთ ერთ თავის ბროშიურაში ლაპარაკობდა ამხ. ლენინი, ჩვენ მუშათა ფართო წრეები და პროფესიონალური კავშირები სახალხო მეურნეობის ორგანიზაციის საქმეში, ისე, რომ ჩვენი მიზნისათვის შესაძლებელი გამხდარიყო მიგვეღწია მე 25-ე საუკუნეში. ჩვენ წინადადებას ვ ძლევთ ყრილობას თავიდან მოიშოროს ბიუროკრატიული მეთოდები სახალხო მეურნეობის მმართველობაში. ეს სისტემა არსებობს დღეს ჩვენში, მან მიგვიყვანა დღევანდელ კრიზისამდის და მანვე ჩაუდო [illegible] ჩვენი მეურნეობა უცხო ელემენტების ხელში. რომ ჩვენ სამეურნეო [illegible]განოებში ჩვენი მეგობრები იხდნენ, მაშინ ჩვენ არ ვიდგებოდით სათბობი[illegible]ს კატასტროფის წინაშე. თქვენ მოგეხსენებათ, რომ ამ კატასტროფის დაწყებამდე მთელი რუსეთი და მსოფლიოც მიჰყვნილ იქმნა სხვა და სხვა წერილებით, რომ მთელ ქვეყანას უტყუებდა ჩვენი სათბობი ფონდის საუკეთესო მდგომარეობას—სინამდვილეში კი ჩვენ იძულებულნი ვართ დავხუროთ ფაბრიკა-ქარხნები. და აი, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ორგანო „ეკონომიური ცხოვრება" (экономическая жизнь) აცხადებს, რომ: „სათბობი მაღალის კრიზისი ბოლშევიკებისათვის სრულებით მოულოდნელი იყო"-ო. (იხ. ამ ჟურნალის № 27). აი სადამდის მიგვიყვანა სახალხო მეურნეობის ორგანიზაციაში დღეს არსებულ სისტემამ. ჩვენ ვხედავთ, ვგრძნობთ ამასა და ამიტომ ვურჩევთ ყრილობას ახალი გზის მიღებას, იმ გზისა, რომელიც უარყოფს კატასტროფის მოსალოდნელ და კონტრრევოლუციონურ შეფასების შესაძლებლობას, რადგანაც მთელ განვითარებას სახალხო მეურნეობისას დაიჭერს მტკიცე ფხიზელი თვალი პროლეტარიატისა და მისი ორგანიზაციისა. აქ ამ საკითხში ჩვენ იმდენად მკვიდრ და საღ ნიადაგზე ვდგევართ, რომ არავის არ შეუძლია დაგვწამოს დემაგოგია ან სინდიკალიზმი. ჩვენ სინდიკალიზმის საფუძვლათ დაუდევით ჩვენი პარტიის პროგრამა, პროგრამა მე 8 ყრილობისა. იგი ძლიერ ნათლად არკვევს ჩვენ მიზნებს, პროფესიონალურ კავშირების მიზნებსაც და ჩვენც მას ვანვითარებთ იმ მიმართულებით, რომელიც სავსებით უზრუნველყოფს მუშათა მასის მაქსიმალურათ ჩაბმას ჩვენი რესპუბლიკის სამეურნეო ცხოვრებაში.

თვალი გადავავლოთ ჩვენ მიერ ქარხნებში წარმოებულ პრაქტიკას. როგორი მართველობაა ამ ჟამად ქარხნებში? წინა ყრილობას სამწუხაროთ ვერ დავესწარი, მაგრამ ახლა ბედნიერება მაქვს დავესწრო ამ ყრილობას და უნდა განვაცხადო, რომ მაშინ ყრილობაზე ირჩეოდა და სწყდებოდა წმინდა სკოლასტიური საკითხი ერთპიროვნულის თუ კოლეგიალური მმართველობის შესახებ მე დარწმუნებული, რომ მაშინაც კოლეგიალობა პრინციპიალურ საკითხად არ გადაგვიქცევია, ხოლო ბევრათ უფრო ადრე, მე 9 ყრილობამდის, ჩვენ ვქმნიდით, კავშირების საშუალებით, მთავარმმართველობებს ერთპიროვნულსაც და კოლეგიალურსაც იქ სადაც საჭირო იყო. მხოლოდ გამგებლობა ჩვენ ვნიშნავდით ერთ კაცს, ხოლო იქ, სადაც საჭირო იყო კონტროლიც, განსაზღვრულ ცალკე მწარმოებელთა ჯგუფებისათვის, ვაარსებდით კოლეგიებს. ახლა კი როდესაც ჩვენ პრინციპში ვღიარეთ და მივიღეთ ერთპიროვნული სისტემა, სწორედ ახლა ეს ერთპიროვნობა აღარსად ჩანს. არ არის არც კოლეგიალობა. მაშ რაღა არის? ავიღოთ ქარხანა ან ფაბრიკა—იქ არის მთელი წყება ორგანოებისა, რომელნიც განაგებენ წარმოებას. პირველ ყოვლისა ორგანიზაციული საქარხნო გამგეობა, შემდეგ ქარხნისა ან ფაბრიკის კომიტეტი. დამფასებელი კომისია, პარტიული იაჩეიკა, სახელოსნოების გამგეები, ხელოსნები, კავშირის რწმუნებულნი და სხვა და სხვა კომისიები. ყველა ესენი ის ორგანოებია, რომელნიც ასე თუ ისე განაგებენ ფაბრიკას, ქარხანას. თუ საქარხნო კომიტეტი ძლიერია, მუშათა წრეებში მას ავტორიტეტი და პოპულიარობა აქვს და თუ იქ გაგზავნილი გამგე ან მმართველი სუსტი ნების პატრონი ხელოსანია ან მუშა, შეიძლება ნაკლებად განვითარებულიც ან ისეთი, რომელსაც არ შეუძლია შეავედოს მუშათა მასას,—იგი, ჩავარდნილი ასეთ პირობებში, იძულებული ხდება დაემორჩილოს და დადგეს საქარხნო კომიტეტის გავლენის ქვეშ. ამ გვარად ჩვენ საქმე გვიხდება ვიქონიოთ შემდეგ სამმართველო ორგანოსთან: გამგე (მიუმატოთ) საქარხნო კომიტეტი. იქ სადაც იგზავნებოდა გამოცდილი პირები, კომუნისტები კარგი სტაჟით, იქ ჩვენ საქმე გვაქვს სულ წინააღმდეგ მოვლენასთან: იგი იმორჩილებს საქარხნო კომიტეტს და უკანასკნელი ემორჩილება მის ნებას ყოფას. და ბოლოს, სადაც საქარხნო კომიტეტი თავის მოწოდების სიმაღლეზე სდგას, და მის გვერდით გამგეც სათანადოთ ასრულებს თავის მოვალეობას, უამრავ განხეთქილებას აქვს ადგილი, რომელსაც ვწყვეტავთ საბოლოოდ არა ჩვენ არა ს. რ. სახ. მეურ. უმ. ს. საბჭო, არა ს. რ. პროფ. კავშირ. ცენ. საბჭო, არამედ ორგანიზ. ბიურო. აი როგორ მოვლენებთან გვაქვს ჩვენ საქმე პრაქტიკაში. ამის გამო ამ საკითხის გადაჭრა ჩვენი ძველი გამოცდილების გამოყენების გარეშე, შეუძლებელია და იგი არა თუ დადებითად საბოლოოდ სჭრის,—დასმულ საკითხს, არამედ უფრო აძნელებს და ართულებს მის სათანადო გამორკვევას. ის გზა, რომელიც თქვენ ამ ჟამად გსურთ გაიზიაროთ, სახელდობრ (0) ათთა თეზისების მიღებით, იგი სრულებითაც არა სწყვეტს მკითხვებს, რომელიც თქვენ წინ არის დასმული. ჩვენ აი, გარკვეულად გისახავთ მთელ რიგ პრაქტიკულ ზომებისას, რომელნიც მტკიცე გამოცდილებისაგან არიან ნაკარნახევი და რომელნიც დადასტურებული არიან აგრეთვე თქვენ მიერ ფაბრიკა-ქარხნებში წარგზავნილ გამგეებისა, და აგრეთვე ფაბრიკა-ქარხნების, კომიტეტების, მთელ რიგ კონფერენციებისგან. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, სულ ერთი თვეც არ იქნება, რაც მოხდა კონფერენცია ჩვენი რესპუბლიკის ყველა საარტილერიო ქარხნების გამგეებისა და საქარხნო კომიტეტებისა. ეს ყველაზე უფრო მსხვილი წარმოებაა ლითონისა ჩვენ ქვეყანაში. ამ ყრილობაზე ჩვენ ვკამათეთ და ვიმსჯელეთ გულახდილად. და როდესაც იქ საკითხი ეხებოდა პრაქტიკულ ზომებს, იმას თუ როგორ მოვაწყოთ წარმოება, რათა ბოლო მოეღოთ იმ არევ-დარევას, რომელიც ამ ჟამად არსებობს ჩვენ სახალხო მეურნეობაში, ამ საკითხის გარშემო ჩვენში სუფევდა სრული თანხმობა. ჩვენ წინადადება შევიტანეთ, ასეთ წარმოებებში აღმასრულებელ ორგანოსთან, ქარხნების გამგესთან, ანუ გამგეობასთან ერთად, დაგვეარსებინა კიდევ განსაკუთრებული საქარხნო საბჭო. ეს საბჭო იქნებოდა ისეთი დაწესებულება სადაც იქნებოდნენ წარმოდგენილი საქარხნო გამგეობა, ჩვენი საქარხნო კომიტეტი, დამფასებელი კომისია, ცალკე ამქრობის წარმომადგენლები და ამ ამქრების ცალკე კავშირებში რწმუნებულნი. აი ასეთი მაღალი საგამგეო ორგანო ჩვენ გვინდა დაუკავშიროთ ქარხნის პერიფერიას. ჩვენ, განზრახვა გვაქვს ამ საბჭოს კრება მოვაწყოთ თვეში ორხელ, სამხელ ან ოთხჯერაც, სადაც განხილული იქნება ყველა დიდმნიშვნელოვანი საკითხები წარმოებისა და თვითეული ამქრისაც კიდევ ცალკე. ამ გზით, ჩვენ ვფიქრობთ, შევქმნით ისეთ მდგომარეობას, როდესაც მთელი სახალხო მეურნეობის მმართვა-გამგეობა, მშრომელთა საშუალებით, სავსებით ჩვენ ხელში იქნება.

ყოველ პატარა და მასთან დიდსა და მნიშვნელოვან გამოცდილებას ჩვენი კავშირებისას და ამ კავშირების განყოფილებებისას, ეჭვს გარეშეა, ჩვენ დიდ ყურადღებას ვაქცევთ. ამ შემთხვევაში ჩვენი პლატფორმა არის მხოლოდ დანასკვი ჩვენი დიდი ხნის გამოცდილებისა, რომელიც ჩვენ განვაცადეთ ჩვენი მრეწველობის ორგანიზაციის საქმეში და მე უნდა განვაცხადო ხმა მაღლა, რომ რა პლატფორმაც თქვენ აქ არ უნდა მიიღოთ, ცხოვრების ულმობელი სინამდვილე ყოველთვის გაჰყვეთ თქვენ არა იმას, რაც თქვენ გაქვთ დაწერილი, არამედ იმას რაც მისი გამოცდილების წყალობით აღნუსხულია ჩვენს პლატფორმაში (ტაში).

საბჭოთა საქართველო

საბჭოთა საქართველო და ანგორა

რევკომის თავჯდომარის მოადგილის ამხ ოროხელაშვილის სახელზე ტრაპიზონიდან მიღებულია შემდეგი დეპეშა: „გადმოგცემთ მუსტაფა ქემალ ფაშის მიერ 1 მაისს ჩემ მიერ მიღებულ წერილს:" გთხოვთ გადასცეთ ამხ ორახელაშვილს, საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის რევკომის თავჯდომარის მოადგილეს, მადლობა იმ ლოცვისათვის, რომელიც—გამომგზავნა ოსმალეთის დიდი ეროვნულ ყრილობის გახსნის წლისთავის გამო. 23 აპრილის დღე დარჩება აღსანიშნავათ იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიაში, რადგანაც ამ დღეს ოსმალეთის ხალხმა ზე მით განაცხადა თავისი შეურყეველი სურვილი, რათაც არ უნდა დაჯდომოდა, დაეცვა თავისი სრული დამოუკიდებლობა მტერთა შეერთებულ ბრბოებისაგან. ვსარგებლობ რა ამ შემთხვევით, მოგიძღვნით საუკეთესო სურვილებს 1 მაისის გამო და აგრეთვე გამოვთქვამ სურვილს რუსეთის და საქართველოს მშრომელთა კეთილდღეობისათვის. ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის თავჯდომარე მუსტაფა ქემალი". ანგორა. მაისის 2. მდივანი.

მძარცველები.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ შედგენილია იმ ქონების მორიგი სია, რომელიც გაიტანა ყოფილმა მენშევიკურმა მთავრობამ. სიაში შეტანილია ის ნივთები, რომლებიც გაიტანეს რესპუბლიკის მთავარ საწყობიდან: ბაბიტი წაღებულია 545 ფუთზე მეტი, კალა—265 ფ. 28 გირ. სალანჯე ტყავი—24 ფ. საბარგო ავტომობილის შინი 13 ცალი, სხვა და სხვა ზომის ტყავის თასმები 1,561 არშინი, ქლიბები 4730 [illegible] 550 ცალი, პნევმატური [illegible]ლურები 28 ცალი, ფარჩა 22 არშ ტრიკო 1,973 არშ. ხალიჩები 217 არშინი, კარების ფარდები 5 წყვილი, ზეწარი 1,816 ცალი, მატერია ვაგონის საჯდომების გადასაკრავი 53 არშინი, ბალიშის პირი 405 ცალი, ქეჩის საბნები 55 ცალი, ფერადი მატერია 1,457 არშ: პირსახოცები 13 ცალი, სხვა და სხვა თასმა 3,480 არშ. აბრეშუმის არშია 761 არშ. სხვა და სხვა ზონარი 5,874 არშ. და 1,573 მეტრი, ელექტრონის ლამფები 2 ბოჭკა, სანთლის 34 ფ., ნიშადური 23 ფ., სპიჩკა 15985 ფ., საპონი უბრალო 13,520 ნაჭერი, მანქანის ზეთი 1,597 ფ., საფეიქრო ზეთი 438 ფუთი, ბენზინი 263 ფუთი.

ყაზბეგის რაიონში.

ჩვენ ყაზბეგის თემის სოფელ ჯუთის მცხოვრებლები ხევსურები მივესალმებით მუშების და გლეხების მთავრობას აგრეთვე იმ პარტიას, რომელიც ასე თავგანწირულად იბრძოდა მშრომელი ხალხის განთავისუფლებისათვის. ჩვენ ხევსურები ვუყურებდით რა მიტოვებულნი მენშევიკურ მთავრობისაგან სრულიად უყურადღებოდ, მარტო მოდიოდნენ გადასახადებისათვის და კავკავის გზის დაკეტვის გამო განვიცადეთ საშინელ შიმშილს. ჩვენ დღეს საბჭოთა მთავრობის ძალაუფლების დამყარებისათანავე მივიღეთ სიმინდი, ნავთი და სხვადასხვა უპირველესი საგნები. დავრწმუნდით, რომ საბჭოთა მთავრობა გამარჯვებულ მუშების და გლეხების მთავრობაა. ჩვენ ხევსურები საწყალი ხალხი ვართ, ვცხოვრობთ სალდეკლდეებში ჩვენი შრომით, დავრწმუნდით და დარწმუნებული ვართ რომ კომუნისტები სწორედ ჩვენისთანა ხალხს ეხმარებიან და ჩვენი მხრიდანაც ყოველივე ძალ ღონეს ვიხმარებთ საბჭოთა ძალაუფლების გასამტკიცებლათ. გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა მთავრობის თავჯდომარეს ფილიპე მახარაძეს, გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას, გაუმარჯოს მთელი ქვეყნიერების მუშების და გლეხების განთავისუფლებას. მიტინგის თავჯდომარე აკია არაბული.

პირველი მაისობა პროვინციაში.

მისალმება ახალციხიდან.

ახალციხე. 6 მაისი (დეპეშით). 1 მაისის მრავალ რიცხოვანმა მიტინგმა მისასალმებელი დეპეშით მიმართა საქართველოს რევკომს: „ახალციხის მაზრის მუშები და გლეხები წითელი ლაშქრის ნაწილებთან ერთად შეკრებილნი დიდ მიტინგზე თავისუფლების მოედანზე პროლეტარულ დღესასწაულის დღეს 1 მაისს რევკომის სახით მივესალმებით მუშათა და გლეხთა ხელისუფლებას საქართველოში და ც. კ ს. საქართველოს პროლეტარიატის დამცველს.

მხოლოდ კომუნიზმი გაანთავისუფლებს კაცობრიობას. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლება მოუღებს ბოლოს ძმათა შორის სისხლის ღვრას და ეროვნულ განხეთქილებას. მტერი, რომელიც კი გაბედავს თავისი შავი მზაკვარი ხელის აღებას მშობლიურ საბჭოთა საქართველოს წითელი დროშის წინააღმდეგ, გასრესილ იქნება. გაუმარჯოს კავკასიის ყველა ხალხთა ძმობას. მივესალმებით მსოფლიო რევოლუციის შტაბს—მე 3 ინტერნაციონალს. ჩვენ დიდი ხანია გავიგეთ მე-2 ინტერნაციონალის სიკვდილი და მოღალატეობა მეორე ინტერნაციონა-

კომუნიზმი,

(როგორც მ. ზ. ნ.)

„დავიხოცებით, გავწყდებით, ჩვენთან ერთად მთელი ქართველი ხალხიც გაწყდება და ბოლშევიკებს და წითელ არმიას არ დანებდება და მაშინ რისთვის ან ვისთვის გინდათ თქვენ სოციალიზმი?"

ასე მეკითხებოდა და თან გაცხარებით მედავებოდა დარკინულ ვაგონის ფანჯრის წინ მდგომი ერთი ქუთაისელი „პასუხისმგებელი" მენშევიკ-აგენი, როცა 9 მარტს ჩვენ, ხუთ-სამოდე ტყვე კომუნისტი, მეტეხიდან ქუთაისის ვაგზალში მიგვიყვანეს და ვაგონებში დაგვაყარეს.

როგორც დღეს ამხანაგმა და არა ამხანაგმა მკითხველმა იცის, არც მენშევიკები გაწყდნენ ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლაში და არც ქართველი ხალხი გადაყოლია ამ ბრძოლას. დაიღუპნენ მხოლოდ მენშევიკების მიერ გაბრიყვებული ხალხის ზოგი შვილები, რომელთა შორის, ვინ იცის, ბევრი თავს საქვეყნო საქმისთვის მებრძოლათ გრძნობდა. სიმართლე უნდა ითქვას: ისინი ყველა ღირსია ჩვენი გულწრფელი სიბრალულისა. ჩვენდა საბედნიეროთ კი ასეთების რიცხვი მეტათ მცირეა. ეს ისეთი მცირე უნებური მსხვერპლია შედარებით იმ მსხვერპლთან, რაც სოციალიზმისათვის რუსეთის ხალხს მხრით შეუწირა, რომ სათქმელათაც არ ღირს! აქ სათქმელი და საყვედური უფრო ისაა, რომ ქართველმა მენშევიკებმა ზემ ხსენებული ქადილი ვერ შეასრულეს და როგორც ამით, ისე მთელი თავისი პოლიტიკით, ქართველ ხალხს მისი ისტორიულათ დაჩემებული სახელი ვაჟკაცობის შეურაცხყვნეს. მათ თავი ქართველი ხალხის წარმომადგენლებათ მოჰქონდათ და ლაჩრულად კი ბრძოლაში პირი იბრუნეს და სამშვიდობოს მოჰკურცხლეს: ათას ხუთასმა კაცმა უცხოეთის გემზე ანტანტის კალთებს შეაფარა თავი; ხოლო სხვები დღეს უსირცხვილოთ დაძრწიან ჩვენ შორის და, ვითომდა აქ არაფერიაო თავს არხეინათ გრძნობენ.

მარა მე ეს არ მაკვირვებს, რადგან კარგათ ვიცი, რომ წვრილ ბურჟუაზიული სულის კვეთების პარტია გმირობას ვერასოდეს ვერ გამოიჩენს და ბრძოლის ველზე თავს ვერ დასდებს იდეალებისათვის, ვინაიდან მას ეს იდეალები არ გააჩნია.

აქ მხოლოთ მინდა ვუპასუხო მათ კითხვაზე, თუ ვისთვის და რისთვის გვინდა ჩვენ—უკეთ პროლეტარიატს სოციალიზმი?

როგორც დღეს ყველა ხედავს რუსეთის წითელი არმიის შემოსვლის და მის მიერ ჩვენი ქვეყნის დაკავების შემდეგ ქართველი ხალხი ისევ ისე ქართველ ხალხათ დარჩა, ის კვლავ ყოველდღიური ცხოვრების ჭაპანს ეწევა და კვლავ „კეთილი ცხოვრებისათვის", ბედნიერებისათვის იბრძვის.

ბედნიერებისათვის ბრძოლა, აი რაშია მისი ცხოვრების შინაარსი, რა არის მისი არსებობის დედა აზრი, ისე როგორც საზოგადოთ ყოველი კულტურული ადამიანისათვის ცალკე.

მან არსებობის უფლება ათას წლოვანი ბრძოლით უკვე მოიპოვა, ათასი ისტორიული ქარტეხილი განვლო და თავისებურება, სიცოცხლე შეინახა, მხოლოთ ვერ ეღირსა მშვიდობიან კულტურულ ცხოვრებას, რასაც შედეგათ მისი ბედნიერება უნდა მოჰყოლოდა.

ეს კი მარტო მისი ხვედრი როდია. ასეთ ბედს მასთან ერთათ მთელი კაცობრიობა განიცდის: ბედნიერებისათვის ბრძოლა დღეს ყველა კულტურულ ხალხებისათვის მთავარ კითხვათ არის წამოყენებული და აი თუ უნდა მას მიაღწიოს საწადელს, ამ ხალხებთან ერთათ უნდა ხელი ხელ ჩაკიდებული იბრძოლოს ამ ბედნიერებისათვის.

რაში მდგომარეობს ეს ბედნიერება?

ერთი იმაში, რომ ყოველი მშრომელი ყოველი თავისი ძირითადი მოთხოვნილებას ნორმალურათ დაკმაყოფილებით უზრუნველყოფილი იყოს, ხოლო მეორე ის, რომ ადამიანი ადამიანისაგან არ იყვლიფებოდეს და არ იჩაგრებოდეს. აი ორი საძირკველი, რომელზედაც უნდა აშენდეს ბედნიერი ცხოვრების კედლები.

როგორც ისტორია მოწმობს ადამიანი ჯერ ასეთ ყოფაში არ ყოფილა. მართალია ერთ დროს მის ცხოვრებაში ადამიანისაგან ადამიანის ჩაგვრა-ყვლეფას ადგილი არ ჰქონდა, მარა სამაგიეროთ მაშინ მისი შრომის ნაყოფიერება ისე მცირე იყო, რომ მთელი მისი ენერგია, მთელი მისი სიცოცხლე მხოლოდ გამოკვების საქმეზე იხარჯებოდა და „მხოლოდ ფიზიკური არსებობისთვის" ბრძოლას უნდებოდა. ამ ეპოქას ისტორია, როგორც ვიცით პირველ ყოფილ **კომუნიზმს უწოდებს.** ეს ეპოქა თანამედროვე კულტურული ადამიანისთვისაც მიმზიდველია იმით, რომ იქ ჩაგვრას ადგილი არ ჰქონდა, მარა უარსაყოფელია მით, რომ მაშინ ადამიანი მთელი დღის შრომით კუჭს ნახევრადაც ვერ იძღობდა და მშიერ-მშწყურვალი ტყე-ველით დაძრწოდა. ის მაშინ თუმცა სრული „თავისუფალი" იყო ადამიანისაგან, მარა იმავე დროს სრული მონა ბუნების ძალთა და ამიტომ ტანჯულიც იყო და უბედურიც. ადამიანს კი სწყურია **სრული ბედნიერება, სრული კმაყოფილება.** ამას კი ანიჭებს მას თანდათანობით ისტორია ა) ბუნების მბრძანებლობისაგან **განთავისუფლება და ბ) შრომის სულ უფრო და უფრო განაყოფიერების გზით.**

ის ამ გზით პირველყოფილ კომუნიზმიდან გადავიდა ფეოდალიზმში, ხოლო ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმში და თუმცა ამ გზით იგი თანდათან განთავისუფლდა ბუნების ძალთა ბატონობისაგან და თვით გახდა მისი ბატონი, მაგრამ სამაგიეროთ იგი ამავე გზით ჩავარდა საზოგადოებრივ ძალთა მონობაში: ის საზოგადოებრივ ურთიერთობის განვითარების მსხვერპლი შეიქნა. ამნაირათ ის აშორდა ბედნიერების გზას და ჩაგვრა-ყვლეფის პირობებში ამოყო თავი.

მაშასადამე ისტორიამ კითხვა დაუყენა მას, თუ როგორ იხსნას თავი ამ ახალი მონობისაგან, ჩაგვრა ყვლეფისაგან, რომ ბედნიერების, კეთილ ცხოვრების და სრულ კმაყოფილების გზაზე შედგეს. და აი ისტორიამვე წარმოშვა კაპიტალიზმის წიაღში ამ კითხვის გადამჭრელი მეთაური ძალა—სამრეწველო პროლეტარიატი, რომელმაც შექმნა ახალი კონცეპცია, მსოფლმხედველობა, სულ ახალი გეგმა საზოგადოებრივი ცხოვრებისა, ახალი იდეალი. ეს არის **კომუნიზმი,** ეს არის მომავალი წესწყობილება, რომელიც ადამიანს ანიჭებს სრულ კმაყოფილებას, „სრულ ბედნიერებას."

ჩვენი ხალხის ცხოვრებას ოდნავ ეტყვია აქ-იქ ბეჭდი ძველი პირველ ყოფილი კომუნიზმისა, ამ ძველის ძველი ეპოქის დღემოჭრილი ნაშთები მხოლოთ თანამედროვე ცხოვრების მივიწყებულ მიგდებულ კუთხეებში და სიღრმეში მოუძრნებია; სამაგიეროთ ჩვენს ხალხს ახლაც აშკარათ აჩნია ბეჭედი ბატონყმური საუკუნეების განმავლობაში მძვინვარე ფეოდალიზმის რეჟიმისა. მაგრამ როგორც ამ [illegible] გავლენა მსწრაფლ წაშალა უკანასკნელმა ათეულმა წლებმა, კაპიტალისტურმა ხანამ. კაპიტალიზმი მოევლინა მას, როგორც უცხო ძალა, როგორც გარედან შემოსეული მტერი და ამიტომ მან ეს ძალა თავიდანვე შეიძულა, თავიდანვე ალმაცერათ და უნდოთ დაუწყო მას ცქერა. ის მას „ბედნიერების" ნაცვლათ ჯოჯოხეთს უმზადებდა!

ჩვენი ხალხის მოწინავე ნაწილმა, სამრეწველო მუშებმა მალე იგრძნეს კაპიტალიზმის მუხრუჭები და მაშინვე სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს მას; ამ ბრძოლის გავლენა იმავე მიზეზის მეოხებით მთელი ჩვენი მშრომელი ხალხის სხვა ნაწილებზედაც გადავიდა. მებრძოლ მუშას მხარი დაუჭირა, არა მარტო მიწის მუშამ, ხელოსნმაც. ამნაირათ ჩვენი ხალხის ცხოვრებაში თავიდანვე ახალი წყობილებისაკენ მიდრეკილება ჩაისახა. ეს იყო თავიდან სტიქიური მისწრაფება კომუნიზმისაკენ.

მაგრამ როგორც ვთქვით, კომუნიზმი ეს მომავლის წყობილებაა, ხოლო კაპიტალიზმსა და კომუნიზმს შორის აწმყო, თანამედროვე ცხოვრება მიმდინარეობს და ეს არის გარდამავალი ხანა, რომელიც მოასწავებს ერთი მხრით კაპიტალიზმის უარყოფას, ნგრევას, ხოლო მეორე მხრით კომუნიზმის საფუძვლების შექმნას და მასზე ახალი კედლების შენებას. აი ეს გარდამავალ ხანა არის დამახასიათებელი სოციალიზმისთვის, რომლის სახელს მენშევიკებიც ფიცულობენ და რომლის თავიდან აშორება არც ერთ ხალხს არ შეუძლია. ეს არის აუცილებელი საფეხური, რომელზედაც დგება ქვეყანათ დღეს ყველა არსებული ხალხი იმ მტკიცე იმედით და რწმენით, რომ ხვალ ამ საფეხურიდან კომუნიზმში, „[illegible] ბედნიერების ქვეყანაში" გადავა.

რაჟდენ ცალაძე.

ლის ბელადებისა. საქართველოს პროლეტარიატი მესამე ინტერნაციონალის მოქმედებაში ხედავს თავისი ნების გამოხატულებას. მთელი მსოფლიო ბურჟუაზია ძირს მესამე ინტერნაციონალის სახით გაერთიანებულ მსოფლიო პროლეტარიატის ძალის წინაშე და ესაა პროლეტარიატის გამარჯვების საწინდარი. ფიცსა ვსდებთ, რომ ყოველგვარ ღონეს ვიხმართ საქართველოში საბჭოთა ხელის-უფლების განმტკიცებისა და წარმოების აღდგენისთვის. ვფიცავთ, რომ დაკოჟრებულ ხელიდან არ გაუშვებთ წითელ დროშას ვიდრე არ დამყარდება მსოფლიო საბჭოთა ხელისუფლება, გამარჯვებულ აღმოსავლეთის ახლად გაღვიძებულ ხალხთა რევოლიუციონურ ბრძოლას და კავკასიის ერთა ძმობას.

საქონელი საბჭოთა საქართველოსთვის.

ბათომის რევკომის თავჯდომარის ხელმოწერით, მიღებულია საქართველოს რევკომის თავმჯდომარის სახელზე შემდეგი დეპეშა.

ბათომში მოვიდა „ვალაცო და ლოცოს“ ფირმის გემი და მოიტანა 219 ფუთი ასანთი, ცინკადაკრული 300 სპილენძის ვედრო, 292 შეკრული საძირე ტყავი, 22 ჩამოსხმული ტყვიის და კალის ზოდი, 290 ფუთი ფეხსაცმელი, 135 ცალი ტყავის შესახვევი მასალა (ბინტი) 369 ცალი ავტომობილის კამერები და სახურავი, 25 ფუთი ელექტრონის მავთული, 5 ავტომობილი და 1 ფუთი ავტომობილისათვის საჭირო ხელსაწყო, 145 ცალი ქსოვილი, 227 ტომარა და ტილოს ქსოვილი, 327 კიპა ბამბეულისა და მატყლის ქსოვილი, 78 ფუთი ძაფი, 91 ცალი რკინეულობა, 2,100 გუთანი, 367 ქიმიური საქონელი და მედიკამენტები, 601 ფუთი თუნუქი, 55 ფუთი ელექტრონის საჭირო საგნებისა, 40 შეკვრა, 117 ფუთი რკინეულობისა, 14 ფუთი გუთნის ნაწილებით, 13 ცალი მატყლის ქსოვილი, 14 კიპა ტომარა, 2.000 ტომარა გოგირდით, 117 ფუთი ფორთოხლით, 11 შეკვრა უნგირი, 3 ფუთი სამკურნალო საქონელი, 61 კიპა ტომარა, 78 ცალი და 1 ფუთი ქსოვილი.

საბჭოთა რუსეთში

(გრუზავროსტას დეპეშები)

კოოპერაციის ინტერნაციონალი.

მოსკოვი. 1 მაისი (რადიო). მშრომელთა საერთაშორისო გაერთიანებათა შორის ცნობილია პროლეტარიატის პოლიტიკურ პარტიათა ინტერნაციონალის და საერთაშორისო პროფესიონალურ კავშირთა გაერთიანება. საერთაშორისო გაერთიანების შესახებ ფორმა კოოპერაციაა. იგი პირველად 1905 წ. გამოვიდა საერთაშორისო მასშტაბით. ომმა დაამარცხა კოოპერაციის ინტერნაციონალი, მაგრამ მშრომელთა ორგანიზაცია მსოფლიო მეურნეობაში ფრიად დიდი მნიშვნელობისა შეიქნა. პარტიათა და პროფკავშირთა საერთაშორისო გაერთიანების მსგავსად უნდა აღსდგეს კოოპერაციის ინტერნაციონალი. მთელი მსოფლიოს გატანჯულ მშრომელთა რევოლიუციონური ენერგია საჭიროებს გადაიდგას პირველი ნაბიჯი საერთაშორისო კოოპერაციის შესაქმნელად. პირველი ნაბიჯი გადაიდგა. ცენტროკავშირის მეორე სესიამ შექმნა კომისია წითელი კოოპერაციის საერთაშორისო ურთიერთობის მოსაწყობად, რათა გაიბას კავშირი ინგლისსა, იტალიასა, გერმანიასა, ისპანიასა და ბელგიას შორის. აზრათ აქვთ ახლო მომავალში მოსკოვში მოიწვიონ ყველა ქვეყნის კომუნისტ-კოოპერატორთა თათბირი. ამ რიგად შრომის ორგანიზაციის ბრძოლის გამახნიერებელი კოოპერაცია სწორე გზას იკვლევს.

ცენტროკავშირის ყრილობა.

მოსკოვი. 5 მაისი (რადიო). მაისის 10 ცენტროკავშირის საბჭოს მე-3 სესია გაიხსნება. ეს ყრილობა სასწრაფოთ რათა იქნეს განხილული მთელი რიგი საკითხები, რომელნიც დაკავშირებულია სასურსათო გადასახადისა და კოოპერაციის დეკრეტებთან. კოოპერაციას გადაეცემა მთელი ძალა განმანაწილებელ ფუნქციის, წარმოების უფლება და ნატურალურ ფონდის რეალიზაცია. ამ რიგად საბჭოთა სესია აღნიშნავს იმ შესაცვლელ პუნქტს საბჭოთა რუსეთის ცხოვრებაში, როდესაც იგი უნდა აღსდგეს ძლიერ ფაქტორად ქვეყნის ეკონომიური აღორძინების საქმეში, მორიგ საკითხების მწვავე საჭიროების გამო. უნდა ვიფიქროთ, რომ ყრილობა იქნება სრული და საკმაოდ მრავალრიცხოვანი.

მარილის მარაგი.

მოსკოვი. 5 (რადიო). მიღებულია ცნობები ყირიმში შავი და აზოვის ზღვის სანაპიროებზე მარილის რაოდენობის შესახებ. სულ აღრიცხულია 28,5 მილიონი ფუთი მარილი, რომლიდან 1,780,000 ფუთი შეიძლება დაუყოვნებლივ დატვირთოს ვაგონებში.

უპარტიო გლეხების თათბირი მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან.

მოსკოვი. 6 მაის. (რადიო). ამ დღეებში მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის კოლეგიასთან მოხდა უპარტიო გლეხთა დელეგატების თათბირი. რომლებიც ჩამოვიდნენ სმოლენსკის, ვიტებსკის, ფსკოვის, ტულის, ვორონეჟის, ტამბოვის, უფის და ორენბურგის გუბერნიებიდან. მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარის მოადგილე ოსინსკიმ აღნიშნა, რომ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ლენინს საჭიროდ მიაჩნია უპარტიო გლეხთა წარმომადგენლებს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის მუშაობაში მონაწილეობა მიაღებინოს. ჩამოსულ დელეგატთაგან ორი დარჩება მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატის კოლეგიასთან, რათა პირდაპირი მონაწილეობა მიიღონ კოლეგიის მუშაობაში და დაესწრონ მთხოვნელთა მიღებას. დანარჩენი დელეგატები დაბრუნდებიან უკან და შეასრულებენ მიწათ მოქმედების სახალხო კომისარიატის კონტროლიორთა და ინსპექტორთა მოვალეობას. ოსინსკის მოხსენებამ ცხარე კამათი გამოიწვია.

დელეგატებმა მოიწონეს ნატურით გადასახადის შემოღება და დათანხმდნენ, რომ მთავრობამ სამართლიანად დააწესა გადასახადი მოხნულ დესეტინაზე და არა დათესილის სივრცის მიხედვით.

კოოპერატორები—ექსპროპრიატორები.

მოსკოვი. 7 მაისი (რადიო) შემთანხმებელ კოოპერატივთა წარმომადგენლები ბერკენჰეიმი და ზაკჰეიმი, თავის დროზე დაიმალნენ საზღვარ გარეთ და თან გაიყოლეს 5 მილ. ოქრო, რომელიც რუსეთის კოოპერატივთა საზოგადოებას ეკუთვნოდა. ცენტრო კავშირის რწმუნებულთა ყრილობაზე, გასულ წლის ივლისის თვეში მათი ქცევა იყო აღბეჭდილი სამარცხვინო მოვლენად, და ამასთანავე დადგენილ იქნა საქმე გადაეცეს სასამართლოს. აპრილის 4 კრასინმა მიმართა ბერკენჰეიმს წინადადებით, ეს ფული აპრილის 9 მდე დაბრუნებულ იქნეს, რაზე ამ თფილმა კომპანიამ უპასუხა, რომ ამ ფულს დაუბრუნებენ მხოლოდ კოოპერაციას, რომელიც თავისუფალი იქნება საბჭოთა ხელის უფლების გავლენებისაგან.

ხე-ტყის მასალის გაზიდვა.

მოსკოვი. 6 მაისი, (რადიო) მთელს 1920 წელში საზღვარ-გარეთ გაიტანეს 200.000 ფუთი ხე ტყის მასალა, 250.000 ფუთი ფანერა. ამ საქონლის ნაწილი გადაეცა ნორვეგიის ფირმას 100,000 ტონ ქვანახშირზე გასაცვლელად. ამ ჟამად დიდი მეცადინეობაა, რათა საზღვარ-გარეთ ხე-ტყის გატანა გაფართოვდეს. ლატვიის მთავრობამ ხელშეკრულება დასდო, რომ იგი რიგაში ხე ტყის სახერხ ქარხნებში დაამუშავებს ნახევარ მილიონ თავ ხესა, რომელსაც ჩვენ გავზიდავთ დასავლეთ დვინით.

დაცული ტყეები.

მოსკოვი 4 მაისი (რადიო). ტყის გაჩეხვა საშიშ ხასიათს ღებულობს. მიდამოები, რომლებიც აკრავს ქალაქს და სოფლებს დაუზოგველად ტიტვლდება, და ამასთანავე სავსებით არ ითვალისწინებენ ზიანს, რომელსაც ითმენს მოსახლეობა სანიტარულ-ჰიგიენურ და კულტურულ თვალსაზრისით. ამიტომ სატყეო ცენტრალურმა განყოფილებამ გამოიმუშავა დეკრეტი, რომლის ძალით აზრათ აქვთ დააწესონ „მწვანე სატყეო მოედნების“ ხელშეუხებლობა ქალაქის ფაბრიკა ქარხნების და სასოფლო მოსახლეობის მიდამოებში, სადაც მოსახლეობა აღემატება 2000 კაცს, და აგრეთვე საბავშვო მოსახლეობის და იმ ადგილების ახლო, სადაც იმყოფება სამკურნალო დაწესებულება. დეკრეტის პროექტს მხარს უჭერენ სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატი და მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატი, რომლებიც ახორციელებენ მას ცხოვრებაში სასწრაფოთ გატარებას.

ქართველ მუშებს

დიდება ის ვინც რომ ჩვენა
გვდევნიდა და გვაწამებდა.
დიდება ის, ვინც ჩვენს ოფლით
მუქთახორა—მტარვალთ კვებდა.

—

გაიმარჯვა წითელ დროშამ
მშრომელთ სისხლით შეღებილმა,
შორს გასტყორცნა ჯალათები
ჩაგრულთათვის მებრძოლ გმირმა.

—

გაიმარჯვა მჩაგვრელებზე
მუდამ ტანჯულ, მაშვრალთ კერამ,
განახლებულ საქართველოს
წხარი მივსცეთ ძმებო ყველამ!

—

წინ გავსწიოთ შრომის შვილნო,
წინ გავსწიოთ მედგრად ძმებო!
და უშიშრად დავძახოთ:
„ოჰ, იგლოვეთ მშრომელთ მტრებო„!

—

„გაუმარჯოს მსოფლიო ძმებს
და მათ დროშას კომუნისტურს,
რაც შიშსა გვრის მტარვალ მჩაგვრელთ,
აცისკროვნებს დაჩაგრულთ გულს“!

—

„გაუმარჯოს მათ სულ წინსვლას,
მჩაგვრელებთან მედგარ ბრძოლას!
ვერ გაუძლებს ძველი კერპი
განახლების ქარას ქროლას“!

კალე ფილდოხიშვილი.

ქ. ახალ სენაკი 30 მარტი

საზღვარ-გარეთ

(გრუზავროსტას დეპეშები)

ოსმალო-საბერძნეთის ომი.

ბათომი, 6 მაისი. (დეპეშა). ტრაპიზონიდან რადიოთი იუწყებიან: სახარის ახლოს მოხდა უმნიშვნელო ბრძოლა ზარბაზნებით. ბრუსას ახლო მზვერავ ნაწილებს შორის მოხდა შეტაკება. ბერძნები უკუ აგდეს.

ინგლისელი ჯაშუში.

ბათომი. 6 მაისი. (დეპეშა). ანგორაში დაიწყო მუსტაფა-საგირის გასამართლება. მას ინდოელთა დელეგატათ მოჰქონდა თავი, მაგრამ ინგლისელების ჯაშუში აღმოჩნდა. იგი გამოტყდა დანაშაულში. გამოირკვა, რომ ის ღებულობდა სათანადო დირექტივებს კერზონისაგან და მუდმივი კავშირი ჰქონია სტამბოლში მყოფ ინგლისის წარმომადგენელ ნილსანთან. ანტანტა ამ პროცესს დიდ მნიშვნელობას აძლევს. სასამართლოს, სხვათა შორის ესწრება ფრანგულ გაზეთების თანამშრომელი ქალი გავისსი.

აჯანყება ოსმალეთში

ტრაპიზონი 28 აპრილი. ანატოლიის პრესა იძლევა ზოგიერთ ცნობას ანატოლიის მიყრუებულ ადგილებში მომხდარ აჯანყების შესახებ. პრესა ადასტურებს არეულობის და აჯანყების ფაქტს მაგრამ აღნიშნავს, რომ ამ აჯანყებებს არ შეიძლება მიეკუთნოს კონტრ-რევოლიუციონურ აჯანყებათა მნიშვნელობა. ეს არეულობანი გამოწვეულია მხოლოდ საერთო შეუგნებლობით და მოხდა სრულიად შემთხვევითი მიზეზების გამო. ყველა ეს აჯანყებანი არა ხანგრძლივია და რამოდენიმე საათის შემდეგ მოხდება ხოლმე მათი ლიკვიდაცია. ამის გამო მიღებულია სასწრაფო ზომები ადგილობრივათ ხელისუფლების საჩქაროთ მოწყობისათვის. ეს მით უფრო განსახორციელებელია, რომ ანგორის მთავრობის ხელისუფლება უკვე გამტკიცდა. მაზრებში დანიშნულნი არიან მთავრობის კომისრები, რომელნიც ახლა მთავრობის ერთგულნი არიან და ცხოვრებაში ანხორციელებენ მის პოლიტიკას. ქურთისტანშიდა სხვა ადგილებში, სადაც ამ უკანასკნელ დროს არეულობა იყო, ხელისუფლების მოწყობაზე დიდი ყურადღებაა მიქცეული.

კომუნიზმი საქსონიაში.

დრეზდენი. 17 აპრილი. გალეში საგანგებო სასამართლომ სასიკვდილოთ განაჩენი გამოუტანა კომუნისტ პოლ ეაკობს, ეაკობსთან ერთად დაჭერილ 15 ახალგაზრდა კომუნისტს კი 5 წლიდან 6 წლამდე დატუსაღება.

რუსეთ საფრანგეთის ვაჭრობა.

ბათომი. 6 მაისი (დეპეშა) პარიზის კომუნისტურ გაზეთ „იუმანიტე“-ში მოთავსებულია წერილი, სადაც ამტკიცებენ, რომ რუსები კი არა საფრანგეთია კრიტიკულ მდგომარეობაში რუსეთის ნედლ მასალის უქონლობის გამო, რუსეთმა კი არა საფრანგეთმა უნდა გადადგას პირველი ნაბიჯი აღებ-მიცემობის გასაახლებლად.

რუსეთის და საფრანგეთის შორის ვაჭრობის შესახებ.

ბათომი. 6 მაისი (რადიო) გაზეთი ირწმუნება, რომ თუ საფრანგეთის მთავრობა ამ მხრივ არას გააკეთებს, მაშინ კერძო კომერსანტები იძულებულნი იქნებიან თითონ გააბან სავაჭრო კავშირი რუსეთთან. საფრანგეთის კონსერვატორებს და რეაქციონერებს ერთად ერთი იმედი აქვთ რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენისა: მხოლოდ ამ გარემოებით არის შესაძლებელი ხსნა სრული გაკოტრებისაგან.

მედგარი მებრძოლნი მუშათა კლასის განსათავისუფლებლად.

ლონდონი. 5 მაისი (რადიო). ინგლისის გემთა აღმშენებელი მუშები თავისი გადაწყვეტილებას სისრულეში მოსაყვანად საზღვარ-გარეთის ქვანახშირს არ სცლიან. ბრისტოლის გემთა აღმშენებელი მუშებიც გაიფიცნენ ნახშირით დატვირთული საზღვარ გარეთის გემების მოსვლის გამო. სატრანსპორტო მუშათა საერთაშორისო ფედერაციამ აცნობა ინგლისის მუშებს, რომ ჰოლანდიის, საფრანგეთის, ბელგიის, გერმანიის და ავსტრიის მუშები წინ აღუდგებიან ნახშირის შეტანას ინგლისში. ამ ცნობის შემდეგ რობერტ ვილიამსმა განაცხადა, რომ შესაძლებელია საერთაშორისო გამოსვლები. ორთქლმავალზე მომუშავე მექანიკოსთა ფედერაციის აღმასრულებელ კომიტეტის სხდომა გაიმართა, რომლის შედეგათ მოსალოდნელია მისი აქტიური გამოსვლა.

განთავისუფლეს.

მოსკოვი. 6 მაისი (რადიო). ბერლინის კომუნისტების თავმჯდომარე ფრიდლანდი საპატიმროდან განთავისუფლეს.

განდევნეს.

მოსკოვი. 6 მაისი (რადიო). ყოფილი დიდი მთავარი დიმიტრი პავლეს ძე, რომლის გარშემო ბერლინში იკრიბებოდა რუსეთიდან ჩამოსული ბევრი მონარქისტებისა, თავად აზნაურობისა, მემამულეთა, ამ ჟამად ბერლინიდან განდევნეს, ვინაიდან გერმანიაში შავრაზმელებმა ფრიად გააძლიერეს მოქმედება.

ამერიკის მატროსთა გაფიცვა

ლონდონი. 5 მაისი (რადიო) გაფიცვა შეაჩერებს 500 ათასი კაცის სამუშაოს. საეჭვოა მთავრობის შუამავლობამ რაიმე გავლენა მოახდინოს, ვინაიდან ადმირალმა ბენსონმა განაცხადა, რომ შემცირებულ იქნეს შრომის ხელფასი 15 პროცენტით ზღვათა სამინისტროს ყველა მოსამსახურეთათვის.

ბრძოლა კომუნიზმის წინააღმდეგ.

ჟენევა. 27 აპრ. ბავარიის მთავრობამ გადაწყვიტა მიიღოს რეპრესიული ზომები რევოლიუციონურ კომუნიზმის წინააღმდეგ, რომლებსაც მთავრობა ბრალსა სდებს, რომ ისინი დახმარებას უწევდნენ ცენტრალურ გერმანიის მუშებს, რომლებმაც ვერ გაუძლეს გერმანიის და ანტანტის კაპიტალისტების უღელს. პოლიციის უფროსმა ბრძანება გასცა ლანდტაგში დეპუტატ-კომუნისტის, ბავარიის საბჭოთა რესპუბლიკის ყოფილ პრეფექტის დატუსაღების შესახებ. ეს ბრძანება შეასრულეს მიუხედავად კანონისა დეპუტატთა ხელშეუხებლობის შესახებ. სოციალისტური პრესა დეპუტატის დატუსაღებას სთვლის დესპოტიურ აქტათ, რომელიც მხოლოდ დასაწყისია რეპრესიულ ზომებისა. კომუნისტის დატუსაღებამ გამოიწვია ძლიერი აღელვება თვით ზოგიერ მუშათა წრეებშიაც.

ქრონიკა

დიდუბე-ნაძალადევის მცხოვრებთა სოციალური უზრუნველყოფა. გაიხსნა მეოთხე „პუნქტი“ თბილისის ქალ. რევკომის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილების, რომლის მოვალეობას შეადგენს ემსახუროს 11 და 12 უბნის მცხოვრებთა მოთხოვნილებებს. „პუნქტი“ მოთავსებულია ელისაბედის ქ. № 176 მე-3 სართულში. მთხოვნელთა მიღება სწარმოებს ყოველ დღე (გარდა უქმე დღეებისა) 10—1 საათამდე.

◆ **რადიო სადგურები.** მიღებულ ცნობების მიხედვით, ბათომში 10 კილოვატიანი რადიო სადგურია მოწყობილი, ხოლო ფოთში 5 კილოვატიანი ნავთლუღში მუშაობა რადიო სადგურის შეკეთებაზე ფრიად ინტენსიურათ სწარმოებს და ერთი თვის შემდეგ რადიო სადგური განაახლებს მთელს მუშაობას. პირველ ხანებში განზრახულია რადიო სადგურის 15 კილოვატით ამუშავება. სოხუმში კეთდება 2 კილოვატიანი რადიო სადგური.

◆ **ხელოვნების მუშაკთა ბინების ხელშეუხებლობა.** საქართველოს რევკომის თავჯდომარემ ამხ. მახარაძემ გასცა სასწრაფო განკარგულება ქალაქის რევკომის მიმართ, რათა არ გადაასახლონ ხოლმე ბინიდან ხელოვნების მუშაკთა კავშირის წევრები.

◆ **ტელეგრაფის აღდგენა.** ყოფილ მთავრობის მიერ წაღებული ფოსტა-ტელეგრაფის ქონება და ახლა უკან დაბრუნებული, უმეტესი ნაწილად მოწესრიგებულია, რაც იძლევა საშუალებას ფრიად მცირე ხანში აღდგენილი იქმნას ტელეგრაფი მთელი თავისი სისრულით.

◆ **სახელმწიფო დრამის თეატრმა** შეიძინა სურათი ქართული სცენის დამსახურებულის მსახიობის ვასო აბაშიძისა. სურათი დახატულია ჩვენი ახალგაზრდა მხატვარის ვალ. სიდამონ-ერისთავის მიერ.

◆ **რუსეთის ძმური დახმარება სომხეთს.** სახალხო კომისართა საბჭომ სომხეთის რევკომ გაუგზავნა $1^1/_2$ მილიონი მანეთი ოქროს ფული. ეს ფული უკვე მიიღეს ერევანში.

◆ **დახმარება.** საქართველოს რევკომის მიერ მიეცა ერთდროული დახმარების სახით: 1) მწერალ ქალს აზიანს 100,000 მანეთი, 2) პოეტ ევდოშვილის ოჯახს 100,000 მან. და 3) ანნა რეშეტნიკოვისეს შვილის დასაფლავებისათვის 50,000 მანეთი.

◆ **წარმოდგენები სახალხო სახლში.** სახალხო სახლში დღეს, 10 მაისს წარმოდგენილი იქნება ტრიფონ რამიშვილის „მეზობლები“, ხუთშაბათს 12 მაისს, მოლიერის „ტარტიუფი“ და შაბათს 14 მაისს, მეორეთ ს. გედევანიშვილის „მსხვერპლი“ რეჟისორათ მოწვეულია ნ. გოცირიძე.

◆ **ყოფილი სახალხო გვარდიის ქონების განაწილება.** დამთავრებულია აღრიცხვა, სახალხო გვარდიის ქონების განაწილებისა, შემდეგ დაწესებულებათა შორის: მიწათ მოქმედების სახალხო კომისარიატისა, საზღვაო და სამხედრო საქმეთა სახ. კომისარიატისა, სასურსათო სახალხო კომისარიატისა და თბილისში არსებულ უმაღლეს სახალხო სამეურნეო საბჭოსა. განაწილებულია აგრეთვე ის ქონება, რომელიც ყოფილ მენშევიკურ მთავრობას გაზიდული ჰქონდა თბილისიდან. ასეთი ქონების 11 ვაგონი დაბრუნებულია თბილისში,

◆ **შავი სახადი.** შავი სახადის ეპიდემია, თბილისის მაზრაში, მარტო დიდლომის მხარეს არის მოდებული, სადაც 4 შემთხვევა იყო. სართიჭალის, საგარეჯოსა და მარტყოფის რაიონებში შეჩნეულია, ავადმყოფობის თითო ოროლა შემთხვევა, დანარჩენ რაიონებში ავადმყოფობის შემთხვევა არ ყოფილა.

ხელოვნება

ქართულ წითელ ლაშქრის ცენტრალური კლუბის საზეიმო გახსნა.

6 მაისს ზეიმით გაიხსნა ქართულ წითელ ლაშქრის პირველი ცენტრალური კლუბი. კლუბი საუცხოვოთ იყო მორთული, ყველა კედლები საგანგებოთაა შემკული მხატვარ მუხანლოვის მიერ დახატული ალეგორიული სურათებით. საღამოს 9 საათია და კლუბის დარბაზში უკვე ტევა აღარ არი. [illegible] წითელ ლაშქრელი და მუშები. კლუბსა ხსნის ქართულ პოლიტიკურ-განათლების სამხედრო განყოფილების წარმომადგენელი. ორატორი აღნიშნავს [illegible] დღის დიად და თვალსაჩინო მნიშვნელობას რევოლიუციის განვითარების პროცესში. ის ნათლად არკვევს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კლუბს ლაშქრისათვის და იმ ისტორიული დანიშნულებისათვის წილათ რომ ერგო საქართველოს წითელ ლაშქარს, რომელიც მოწოდებულია ერთგულ დარაჯად იდგას აქ აღმოსავლეთის კარებთან და დაუღალავ დარაჯად რევოლიუციისა. დასასრულ ორატორი შესძახებს: „გაუმარჯოს საქართველოს წითელ ლაშქარს“, გაუმარჯოს საბჭოთა რუსეთს და საერთაშორისო პროლეტარიატს“, შემდეგი სიტყვით გამოდის ამხ. კვანტალიანი. ის ესალმება რა საქართველოს წითელ ლაშქარს, ამბობს, რომ საერთოდ წითელ ლაშქარს რევოლიუციის ისტორიის პროცესში უჭირავს განსაკუთრებული ადგილი. რუსეთის რევოლიუციაში ის მუდამ იდგა ერთგულ დარაჯათ მუშათა კლასის ინტერესების დაცვის საქმეში. თუ წითელმა ლაშქარმა სახელოვნათ ჩაატარა თავისი დიადი როლი, ეს უსათუოდ უნდა მიეწეროს, სხვათაშორის, კლუბებს. ჯარის გათვითცნობიერების, პოლიტიკურათ გაწვრთნა—მომწიფების საქმეში კლუბებს მიუძღვის დიადი ღვაწლი, საქ. კომ. პარტიის თბილისის კომიტეტის სახელით მისასალმებელ სიტყვას რუსულ ენაზე ამბობს ამხ. ივანიაშვილი. ორატორი ადარებს თანამედროვე წითელ ლაშქარს და ძველ ლაშქარს. ძველად მთავრობა სულ იმის ცდაში იყო, რომ ჯარი რაც შეიძლება განუვითარებელი ყოფილიყო, შეუგნებელი და ბრმა. საბჭოთა მმართველობის მიზანია ჯარის გათვითცნობიერება, ჯარში განვითარების, მომზადების შეტანა. საბჭოთა მმართველობა საჭიროებს კულტურულათ მომწიფებულ ჯარს. ამ მიზნით რუსეთის საბჭოთა მმართველობამ ბევრი იღონა, იმოღვაწა, იმუშავა ენერგიულათ. აი ამავე გზას დაადგება საქართველოს პირველი ლაშქარიც. აქაც ისეთივე მუშაობა გაჩაღდება, როგორც რუსეთში, და არა ისეთი, როგორც ამას ჩამახავდნენ მენშევიკები. ჩვენი ჯარი იქმნება არა იმპერიალისტური ზრახვების განსახორციელებლად, არამედ მუშათა კლასის ერთგულ დასაცავათ კაპიტალის უღლისაგან. რუსეთის წითელ ლაშქრის სახელით სიტყვას ამბობს ამხ. ლიხოვსკი. რით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ კურსკისა და ტომბოვის გუბერნიის გლეხები დღეს თქვენთან არიან კეთილ განწყობილებაში, ხართ მეგობრულათ, სიყვარულით და არავითარ ეროვნულ შუღლსა და მტრობას არა ვგრძნობთ—ესაა შედეგი საბჭოთა რუსეთის მოღვაწეობისა, რომელსაც ყოველგან შეაქვს ძმობა ერთობის ელემენტი.

ორატორი ეხება კლუბის მნიშვნელობას და ამბობს, რომ შეიძლება საქართველოს წითელ ლაშქარს მოუხდეს თავის წითელ დროშით გალაშქრება აღმოსავლეთისაკენ იმპერიალიზმის უღლისაგან მოძმეთა გასანთავისუფლებლათ. კონცერტის გახსნის წინ მოკლე მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა სერგეიმიატეჟნიმ. კონცერტში მონაწილეობდნენ სახელმ. ოპერის საუკეთესო მომღერალ არტისტები.

დასასრულ მორდკინის მონაწილეობით დადგმულ იქმნა პოლეტ რთა პოეტის ლევან ტანდიტის მელოდრამა.

პროფესიონალურ კავშირებში

თფილისის პროფკავშირებთა პლენუმის სხდომა.

ოთხშაბათს, 4 მაისს, კინო-თეატრ „მინიონი“-ს დარბაზში გაიმართა თფილისის პროფესიონალურ კავშირებთა პლენარული სხდომა.

ეს სხდომა პირდაპირი გაგრძელება იყო 27 აპრილს გამართული ასეთივე სხდომისა, სადაც დღის წესრიგში უკანასკნელ რიგზე დაყენებულ სატარიფო საკითხზე მოხსენება გაკეთდა, მაგრამ რახან ერთობ გვიან იყო, მისი გარჩევა-გადაწყვეტა შემდეგი განსაკუთრებული სხდომისთვის გადადეს.

და აი დღეს შემდგარ სხდომის მიზანს მარტო ამ ზემოთ ხსენებული საკითხის გადაწყვეტა შეადგენდა.

წინანდელ სხდომაზე უკვე გაკეთებულ მოხსენებისადმი მიცემულ მრავალ შეკითხვებზე მომხსენებელი ამხ. ს. ჯუღელი განაგრძობდა პასუხის გაცემას.

ლაპარაკი იყო ქართულად და რუსულათ.

შეკითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ გაიხსნა კამათი მთლიანათ აღებულ მოხსენებაზე, მის არსებით პრინციპიალურ მხარეებზე,—თუ რამდენათ იცავდა იგი შრომის ინტერესს.

ილაპარაკა მოქ. იტრიევმა (მენშევიკია), რომელმაც ერთი მხრივ ურჩია სხდომას, რომ საქმისთვის გამოუსადეგარ ზედმეტ კრიტიკანობას ნუ დავიწყებთო, ხოლო მეორე მხრივ ვერ მოითმინა მაინც და აღნიშნა უკმაყოფილება მოხსენებაში გამოთქმულ დებულებებით და სთქვა:—თუ ჩვენ მშიერი ვიქნებით, და სახელმწიფო, რომლისთვისაც ჩვენ ვმუშაობთ ვერ დაგვაკმაყოფილებს, ცხადია ჩვენ ვერ შევძლებთ აღმშენებლობითი მუშაობას.

ხვანიძე—არ ემხრობა შრომის 35 კატეგორიებათ დაყოფას; მის წინააღმდეგ მოჰყავს მას თავისი პრინციპიალური მოსაზრებები და ამბობს:—„ჯერ ჯერობით შეიძლებოდა მხოლოდ სამი კატეგორია მიგვეღო: დაბალი, საშუალო და უმაღლესი.

ზელეცკი—მან გამოსთქვა სურვილი, შრომის ფასი, ჯამაგირები ისე მაღლა არ აწეულიყო, რომ მას ბაზარზე მეტი მავნებლობა მოეტანა სანოვაგეებზე ბაზრის ფასის აწევით.

ილაპარაკეს კიდევ ამხ. ოდილავაძემ, ბოგდანოვმა და სხვებმა.

კამათის დასასრულ ამხ. **ნიკო კიკნაძემ**, რომელმაც მკაფიოთ, გარკვევით უპასუხა მოხსენების არ მომწონებელ ორატორებს, დაასკვნა:—შექმნილ, გამწვავებულ ეკონომიურ პირობებში, რომელშიც ჩვენ, მუშებს და ახალ მუშურ-გლეხურ მთავრობას გვიხდება მოქმედება, სხვა აქედან გამოსავალი უკეთესი გზა როგორც თვით კამათიდან დავინახეთ, მართლაც არ მოიპოება... ეს უნდა მივიღოთ ასე; რადგან მით უმეტეს, ამხანაგებო, ეს დროებითი, წარმავალი მოვლენაა ცვალებად ეკონომიურ პირობებთან შეფარდებული.

შემდეგ ბოლო სიტყვა სთქვა მომხსენებელმა ამხ. ს. ჯუღელმა და მდივანმა ყურულიშვილმა. მათ მიიღეს მხედველობაში ყოველივე თქმული მოხსენებისადმი და გაუკეთეს აქედან გამოსული შესაფერი დასკვნა წაკითხულ მოხსენებას.

მიღებულ იქმნა რეზოლიუცია ერთხმათ თითქმის რამდენიმე თავის დამჭერი პირების გამოკლებით, რომელშიც წამოყენებული პროექტი სატარიფო კომისიის მიერ შემუშავებული შრომის ჯილდოს გასაწევ ზღვრავად,—35 კატეგორია 15 ათასიდან 60 ათას მანეთამდი.

ეს დაბეჭდილი იქნება ცალკე, გაზეთებში და ახსნილ-განმარტებული მუშა-მოსამსახურეებისთვის როგორც პრეზიდიუმმა აღუთქვა სხდომას.

ხევახტი.

მეთამბაქოეთა კავშარი.

შესდგა თამბაქოზე მომუშავე მუშათა პროფკავშირის წევრთა საერთო კრება. პირველათ მოხსენება გააკეთა ამხ. მელიქსეტოვმა კულტურულ განყოფილების შესახებ. ის უმთავრესათ ეხება განყოფილების საქმეთა მოუგვარებლობას და მის მიზეზებს. განყოფილება ჯერ კიდევ ვერ სდგას მკვიდრ ნიადაგზე და მისი უმთავრესი დანიშნულება ვერაა განხორციელებული. ამის მიზეზია ის გარემოება, რომ განყოფილებაში მომუშავე ამხანაგებმა იკისრეს მეტათ მძიმე ტვირთი. ამ საქმისათვის კი ისინი აღმოჩნდნენ მოუმზადებელნი. ამისათვის, მომხსენებლის აზრით, საჭიროა განყოფილების რეორგანიზაცია და მასში უნდა იქნას არჩეული სათანადოთ მომზადებული ამხანაგები. კრება ღებულობს მომხსენებლის დებულებას და ადგენს, რომ მოხდეს განყოფილების ხელ-ახალი არჩევნები შვიდი ამხანაგისაგან შემდგარი. არჩეულ იქმნა შემდეგი ამხანაგები: მელიქსეტოვი, მანკოვსკი, ბეზპროზვანოვი, ხოჯაფარუნოვი, ხაჩიევი, გრიგორიანი და მურადიანი. განყოფილების გამგეთ დაინიშნა ამხ. მელიქსეტოვი. შემდეგ მოხსენება გაკეთდა საბინაო განყოფილების მოქმედების შესახებ. კრებამ ამაზედაც მიიღო განყოფილების რეორგანიზაციის შესახებ დადგენილება. არჩეულ იქნა შემდეგი ამხანაგები: ვართანოვი, ფარსადანოვი და განყოფილების გამგეთ ლევინშტეინი.

აგრეთვე მოხდა საკონფლიქტო კომისიის რეორგანიზაცია. არჩეულ არიან: ფართაზაროვი, ჩაპლინსკისა და ლევინშტეინი. უკანასკნელათ მოსმენილ იქნა გრიგორიანის მოხსენება. ის უმაღლეს სამეურნეო საბჭოს მიერ გაგზავნილი იყო ბათომში და ქუთაისში. კრება ამაზე ავალებს პრეზიდიუმს გაუგზავნოს ბათომის მეთამბაქოეთა მუშათა კავშირს საპასუხო მისალმების დეპეშა.

კავშირთან შესდგა სამომწესრიგებლო განყოფილება, რომლის შემადგენლობაში არიან: ამხ. კოლტუხჩევი, მეკრაბიანი და განყოფილების გამგეთ ავეტისოვი. იქვე შესდგა აგრეთვე საინსტრუქტორო საორგანიზაციო განყოფილება შემდეგი ამხანაგებისაგან: არნაუტოვი, მეთონაშვილი და ბარსამოვი.

ხის დამმუშავებელთა კავშირში.

მაისის 3-ს შესდგა ხის დამმუშავებელთა კავშირის კონფერენცია. დღის წესრიგში იყო დასმული შემდეგი საკითხები; 1) მიმდინარე მომენტი, წარმოებითი კავშირის მიზანი და როლი (ამხ. ნუცუბიძის მოხსენება), 2) გამგეობის მოხსენება თავის მოქმედების შესახებ, 3) მოხსენებანი ადგილებიდან, 4) გამგეობის არჩევნები და 5) არჩევნები სარევიზიო კომისიისა. ამხ. ნუცუბიძის მოხსენებით კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც იცნა რა კავშირების შექმნის ერთათ ერთ ფორმის პრინციპით წარმოებითი დასაწყისი, რომელსაც შეუძლია აიყვანოს წარმოება სათანადო სიმაღლეზე, კონფერენცია აღთქმას სდებს მოეხმაროს მთელი თავის ენერგია ხის დამმუშავებელთა მძლავრ კავშირის შექმნას იმ იმედით, რომ ეს კავშირი შესძლებს ეკონომიურ კრიზისის ლიკვიდაცია კავშირის წარმოების ფარგლებში. გამგეობის მოხსენებით თავის მოქმედების შესახებ კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნა მისი სუსტი მოღვაწეობა, თუმცა ამ მოღვაწეობის დრო იყო ხანმოკლე.

შემდეგ იყო მოსმენილი მოხსენებანი ადგილებიდან.

სამხედრო ხე-ტყის სახერხავ ქარხნიდან გამოვიდა ამხ. შაპოშნიკოვი. საქარხნო კომიტეტი, განაცხადა ამხ. შაპოშნიკოვმა, თუმცა ავირჩიეთ 1 აპრილს, მაგრამ აგერ სამჯერ მოხდა ხელ ახალი არჩევნები, რისთვისაც სათანადო მუშაობა ვერ აწარმოვა. ყველაზედ უფრო საქარხნო კომიტეტმა ყურადღება მიაქცია სასურსათო საკითხს. ამდენხანს ჩვენ ვერ ვეღირსეთ ოთახს სამკითხველოსათვის. ჩვენი მუშები ძლიერ ბნელნი არიან. სიბნელე და შეუგნებლობა არის გამეფებული ჩვენს ქარხანაში. მევაქცევ კონფერენციის ყურადღებას ამ გარემოებას.

ჩოთქის სახელოსნოს მუშებისაგან გამოვიდა ამხ. ოგანეზოვი. ჩვენი კომიტეტი, განაცხადა ამხ. ოგანეზოვმა, მოეწყო სულ რამოდენიმე დღეა და ამიტომ მუშაობას არ შესდგომია. ძველი კომიტეტის მოღვაწეობის შესახებ ჩვენ არაფერი არ ვიცით.

ავეჯის ქარხნიდან გამოვიდა ამხ. პეტროვი. ჩვენი კომიტეტი, სთქვა პეტროვმა, მოეწყო 14 მარტს. ამ ჟამათ ქარხანა არ მუშაობს მასალის უქონლობის გამო, რომლის მიღებისთვისაც ზრუნავს კომიტეტი—კომიტეტს მუშაობაზე გავლენა მოახდინა უთანხმოებამ ქარხნის გამგესთან, რომელიც არის ყოფილი მეპატრონე. ამ ჟამად ჩვენმა კავშირმა ეს უთანხმოება მოსპო. კომიტეტი დიდ ყურადღებას აქცევს შეუგნებლობის წინააღმდეგ ბრძოლას. შეუგნებელი ამხანაგები მაგალითად, სხედან რა უსაქმოთ ქარხანაში, არ სთანხმდებიან შეაკეთონ იმ შენობის სახურავი, სადაც ინახავენ სურსათს.

„ინტ. შრომის" სახელოსნოდან ლაპარაკობს ამხ. კორევი. ჩვენს სახელოსნოში მუშაობა ისეა დაყენებული რომ, რომელ საბჭოთა დაწესებულებასაც უნდა დაიჭიროდეს საჩქარო სამუშაო, ჩვენ შევასრულებთ მას დროისათვის. სახელოსნოში ამ ჟამად მუშაობს 35 კაცი, მაგრამ მიღებულია ზომები, რომ მუშათა რიცხვი აყვანილ იქნას 150 კაცამდე.

სატყევო მხერხავ ქარხნიდან გამოვიდა ამხ. ისახანოვი. კომიტეტმა ძლიერ ცოტა გააკეთა, განაცხადა მომხსენებელმა. ყველა ხე-ტყის მხერხავი ქარხანა ამ ჟამად უმოქმედოთაა და ეს აძნელებს კომიტეტის მოქმედების გაფართოებას. კონფერენციამ მოისმინა რა მოხსენებანი ადგილებიდან, სცნო ადგილობრივ კომიტეტების მოქმედება სუსტათ და წინადადება მისცა კავშირს აიყვანოს ადგილობრივ კომიტეტების მოქმედება სათანადო სიმაღლემდე. დაბოლოს მოხდა ახალი გამგეობის არჩევნები, რომელშიაც შედის 11 წევრი.

საქ. პროფ. კავშ. საბჭოს შრომის მომწესრიგებელ განყოფილების კოლეგიაში.

შრომის მომწესრიგებელ განყოფილების კოლეგიამ თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა:

1) სამხედრო დაწესებულებათა და სამხედრო წარმოებათა მუშა-მოსამსახურეებს უნდა ეძლეოდეს ჯამაგირი პროფესიონალურ კავშირთა გამოანგარიშების მიხედვით, მიუხედავათ იმისა, ღებულობენ თუ არა ისინი წითელ ჯარის ულუფას.

2) სამხედრო საზღვაო სახალხო კომისარიატის მოსამსახურეთათვის მიუცილებლათ შემოღებულ იქნას საგანგებო სამხედრო ტარიფი. ძირითად ჯამაგირათ მიღებულ იქნას რუსეთის ს. ს. რესპუბლიკის სამხედრო დაწესებულებებში არსებულ სამხედრო სამწყობრო ტარიფი.

3) არსენალიდან დათხოვნილ მუშებს, როგორც გამონაკლისს, მიეცეს თვიური ჯამაგირის.

პროვინციაში

მუშა მოსამსახურეთა შორის

8 აპრილი 1921 წელს. შორაპნის მუშა-მოსამსახურეების რკინ. გზის კრებამ რეზოლიუცია გამოიტანეს შემდეგი.

რომ შორაპნის მუშა-მოსამსახურეები მზათ იქნებიან უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლონ პროლეტარიატის განთავისუფლებლათ რუსეთის მუშებთან ერთად. კრება გამოსთქვამს რწმენას იმპერიალიზმზე გამარჯვებაში.

გაუმარჯოს საქართველოს მშრომელებს.

გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას.

გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს.

თავმჯდომარე ლაცაბიძე.

გურჯაანი.

19 აპრილი 1921 წელს. გამოტანილი რეზოლიუცია გურჯაანის რკინის გზის მუშა-მოსამსახურეების მრავალ რიცხოვანი კრების მიერ. ორატორის მოსმენის შემდეგ დამსწრე მუშებმა აღუთქვეს გაორკეცებულ მუშაობა მთავრობის დასახმარებლათ და ხალხის საკეთილ-დღეოთ. აგრეთვე მადლობა უძღვნეს ამხ. ლენინს და ტროცკის.

თავმჯდომარე ბუხნიკაშვილი.

ახალ-სენაკში.

13 აპრილი 1921 წელს. რეზოლიუცია გამოტანილი ახალ-სენაკის რკინისგზის მუშა-მოსამსახურეების მრავალ-რიცხოვანი კრებაზე. ზიზღი და კრულვა ჩვენ მოღალატე მკარეველ მენშევიკების მთავრობას, რომელმაც საქართველოს სიმდიდრე ჩაუგდეს ხელში ჩვენ მოსისხლე მტერს ანტანტას. ჩვენ ყველა ახალ-სენაკის რკინის გზის მუშები მივესალმებით ჩვენს ახალ ნორჩს საბჭოთა მთავრობას და ყველა ფიცს ვსდებთ, რომ ყველა ამაყად ვიდგებით ჩვენ-ჩვენ ალაგას და თუ საჭირო იქნება უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცავთ ჩვენს საბჭოთა მთავრობას ჩვენს და ხალხის საკეთილდღეოთ. გაუმარჯოს ჩვენ ბელადებს ამხ. ლენინს და ტროცკის.

კრების. თავ. ქ. კაჭარავა.

ხაშური.

2 აპრილს 1921 წელს შესდგა ხაშურის რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა მრავალ რიცხოვანი კრება. რეზოლიუცია გამოიტანეს შემდეგი: როგორც დღეს-დღეობით ჩვენს საბჭოთა მთავრობას უხდება ცუდ პირობებში მუშაობა, ჩვენ ხაშურის მუშა მოსამსახურეები ყოველ ღონეს ვიხმართ მთავრობის დასახმარებლად, რომ ჩვენს მუშურ და გლეხურ მთავრობამ შეძლოს ამ კრიტიკულ მდგომარეობიდან სამუდამოთ განთავისუფლება.

გაუმარჯოს წითელ ჯარს.

გაუმარჯოს მესამე ინტერ-ნაციონალს.

გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა მთავრობას.

თავმჯდომარე მოწონელიძე.

წერილი რედ. მიმართ

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ ეს წერილი მოათავსოთ გაზეთ „კომუნისტში".

დღემდე ვითვლებოდი საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრად, რამდენათ ვსწავლობდი მარქსიზმს და ვუახლოვდებოდი მას, იმდენათ ვრწმუნდებოდი, რომ ისტორიული განვითარება მარქსისა და ენგელსის მიერ ნაჩვენებ ისტორიულ მატერიალიზმის კანონების მიხედვით მიმდინარეობდა. რუსეთის თანამედროვე რევოლიუციის შესახებ კომუნისტების მიერ დასმული ისტორიული პროგნოზი, რომ ის არის დასაწყისი საერთაშორისო კომუნისტური რევოლიუციისა, დღითი დღე მართლდება. მსოფლიო ბურჟუაზიის მიერ დაწყებული საერთაშორისო იმპერიალისტური ომით შექმნილ მსოფლიო პროლეტარიატის მდგომარეობამ დააჩქარა განთავისუფლება ყოველგვარ ოპორტუნისტულ გავლენისაგან და მისი დაკავშირება წითელ მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალთან; ამავ დროს მსოფლიო პროლეტარიატის მტკიცე დარაზმვა ორგანიზაციულად და მზადება უკანასკნელი შეტევისათვის კაპიტალის ბატონობისაგან გასანთავისუფლებლათ იწვევს მსოფლიო ბურჟუაზიაში საშინელ არევ-დარევას და პანიკას. ომის გამო შექმნილ ფინანსიურ და პოლიტიკურ კრიზისიდან გამოსვლისაკენ მიმართულ ყოველი საშუალება უფრო ართულებს მდგომარეობას და ისტორიული აუცილებლობის კანონი კაპიტალიზმის დამხობისა დღეს ხორცს ისხამს. უკვე დაწყებულია რუსეთის ძლევამოსილ პროლეტარიატის მეთაურობით ბრძოლა მსოფლიო მუშათა კლასსა და მსოფლიო ბურჟუაზიას შორის. ერთის მხრივ სდგას იმპერიალისტური ბურჟუაზია თავისი დამქაშებ სოციალ-გამყიდველებით (მენშევიკები, ესერები და ძმანი მათნი) და მეორეს მხრივ კომუნიზმის დროშის ქვეშ იარაღში ჩამჯდარი მსოფლიო პროლეტარიატი. დღითი დღე აშკარავდება ინტერესთა წინააღმდეგობის ღრმავე კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის, ხოლო ამავე დროს დღითი დღე ძლიერდება და თანდათან მტკიცდება კავშირი მსოფლიო პროლეტარიატისა და იქმნება სამხედრო შტაბი მსოფლიო რევოლიუციის გასაჩაღებლათ.

საქართველო განთავისუფლებულია ანტანტისა და მის აგენტებ მენშევიკების უპასუხისმგებლო ბატონობისაგან ქართველ მშრომელ ხალხზე. ახლა ხელისუფლობს საქართველოში მშრომელთა მოჭირნახულე კომუნისტური პარტია. ახლა იქნება საქართველოს მშრომელთა სახელმწიფო და მეც მსურს ჩემი ძალ-ღონე მთლად დავუდო ასეთ სახელმწიფოს. დღეიდან საქართველოს კომუნისტურ პარტიაში გადავდივარ და ვსწყვეტ ყოველივე კავშირს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიასთან, რომელმაც თავი ისახელა ანტანტის მომხრეობით (მენშევიკებთან ერთად) და კომუნისტური რევოლიუციის საწინააღმდეგო ტაქტიკის წარმოებით.

ელიზბარ (პულა) ხუნდაძე.

P. S. „სოც.-ფედერალისტი"-ს № 54 გ. ს—ძე, რომელიც თავის თავს ახალგაზრდა სოც. ფედ. კავშირის გამგეობის თავმჯდომარეს უწოდებს, თავის წერილში „რევოლიუციის ხუმარები" უკბილოთ „ტაკიმასხარაობს", რაც საპასუხოთ არა ღირს.

წერილი მთლიანად სადემაგოგიო მიზნით იყო დაწერილი და ამ სათვის შიგ არის ბუნდოვნად ნათქვამი მიზეზი ჩვენი პარტიულ ორგანიზაციიდან გამორიცხვისა. სიმართლისათვის აღვნიშნავ, რომ მეც და ამხ. ასათიანიც სტუდ. სოც.-ფედ. ორგანიზაციიდან ვიყავით გამორიცხული მხოლოდ როგორც კომუნისტები.

გ. ხ—ძე.

— **საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი** მოთავსებულია რუსთაველის პრ., № 22.

— **საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი**—რუსთაველის პრ., 22. **ტელ** 5—74.

— 1-ლი რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136, თეატრი „ნაძალადევი" ტელ. 1—33.

— მე-2-რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ № 87. ტელ. 5—69.

— მე-3-მე რაიონის ბიურო—ავლაბარი, კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4-ხე რაიონის ბიურო—თელავის ქ. 29 „მუშათა კლუბის" შენობაში. 9—52.

მე-5-თე რაიონის ბიურო—აბანოს ქუჩა.

— **საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა**—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

≡ შეჯიბრება ≡

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის ფულის ნიშნების ნიმუშების დამზადებაზე

ფულის ნიშნები დაიბეჭდება 30, 50, 100, 500, 1000, 5000 და 10.000 მან. ღირებულობის.

შეჯიბრების პირობები:

1) ფულის ნიშნის ნახატები, ქართული ათას მანეთიანი ბონის ფორმატის ოდენა და სამი სხვადასხვა ნაირი წარმოდგენილი შეჯიბრებისთვის, უნდა იყოს დამთავრებულის სახით, ორივე გვერდებზე ორი ფერით.

2) ნიშნებზე უნდა იქნეს ქართულ, ფრანგულ, რუსულ, სომხურ და თათრულ ენებზე შემდეგი შინაარსის წარწერა: „საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის ფულის ნიშანი".

გარდა ამისა წარწერა „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით" ზემოჩამოთვლილ ხუთ ენაზე და აგრეთვე ინგლისურ, გერმანულ და იტალიურზე.

3) ფულის ნიშნები უნდა იქნეს შესრულებული ქართულ სტილზე, რომელშიაც უნდა იყოს გამოხატული ჩაქუჩი და ნამგალი.

4) დაჯილდოვება: საუკეთესო ნამუშევრისთვის მან. 500,000,—საშუალო მან. 300,000.—და შემდეგ მან. 200,000.

5) სრულიად დამთავრებული ნახატები შემსრულებლის პსევდონიმით ცალკე კონვერტში და ამ პსევდონიმის ვინაობის აღნიშვნით მეორე კონვერტში წარმოდგენილ უნდა იყოს ორივე. სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელ ექსპედიციაში **ექსპედიციის კომისრის ხელზე** არა უგვიანეს მიმდინარე მაისის 25-სა დილის 10 საათიდან [illegible]ადღევის 1-მდე.

ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

სამხედრო კომისრების კრება

საქართველოს წითელ არმიის მთავარ პოლიტიკურ განათლების სამხედრო განყოფილება ა/წ. 12 მაისს, საღამოს 5 საათზე სამხედრო მთავარ პოლიტიკურ განათლების ბინაზე (ლორის მელიქოვის ქ. ყოფ. სათ. აზნ. ბანკის შენობაში) იწვევს

საგანგებო კრებას

მთავარ სამმართველოების, წითელ არმიის ნაწილების და დაწესებულებათა კომისრების დასწრება სავალდებულოა, ვინაიდან გასარჩევია ფრიად სერიოზული საკითხები.

სამხედრო განყოფილების უფროსის მაგიერ ა. ერმანი.

დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის გამგეობა

ამ წლის 15 მაისს დილის 11 საათისთვის, იწვევს კავშირის წევრთა

საერთო კრებას

განსახილველია შემდეგი საკითხები:

1) ძველი გამგეობის მოხსენება;
2) დროებითი გამგეობის მოხსენება;
3) სარევიზიო კომისიის მოხსენება;
4) კავშირის რეორგანიზაცია;
5) შრომის ბევრა;
6) გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები;
7) მიმდინარე საკითხები.

წევრთა დასწრება სავალდებულოა. კრება კანონიერათ ჩაითვლება, დამსწრე წევრთა რაოდენობის მიუხედავათ, ვინაიდან ის მეორეთ ინიშნება.

კავშირის გამგეობა.

კურსებზე მეცადინეობის დაწყება

საქართველოს სახალხო მეურნეობის მთავარი საბჭოს სამთო განყოფილებასთან არსებული სამთო ტეხნიკურ კურსები ამით აუწყებს მსმენელთ, რომ მეცადინეობა კურსებზე დაიწყება სამშაბათ 10 მაისს.

ლექციები იწყება საღამოს 6½ საათიდან. პრაქტიკული მეცადინეობა 4½ საათიდან.

კურსების გამგეობა.

თბილისის მაზრის ყველა რაიკომებს

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი წინადადებას გაძლევთ თქვენ სასწრაფოთ გადაუგზავნოთ თბილისის კომიტეტს ხელახალ რეგისტრაციის საანკეტო ფურცლები და სრული ანგარიში განვლილ დროის მოქმედების შესახებ.

თბილისის კომიტეტი.

განცხადება

წინადადება ეძლევა სახლის კომიტეტების მდივნებს რევოლიუციონურ დროის კანონების წინაშე პასუხისმგებლობით წარმოადგინონ 2 დღის განმავლობაში უბნის სასურსათო ბიუროს მდგმურების შესახებ სარეგისტრაციო ფურცლები.

ორგანიზაც. და დაწესებულებების საყურადღებოთ

ცხადდება, რომ გაზ. „კომუნისტში" დასაბეჭდი განცხადებები და ანგარიშები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე; სხვა ენაზე დაწერილი მასალა არ მიიღება.